გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№343 (402) 8-15 დეკემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

კაცობრიობის პირველი ენა

წმ. მამის, ექვთიმე ათონელის (თარგმნ) წიგნში „ხალხთა წარმომავლობის შესახებ“ – აღნიშნულია, რომ იბერები, მეგრელები, ლაზები, აფხაზები და ჩერქეზები სემიტური მოდგმის ხალხებად იწოდებიან, ხოლო ქართები, მესხები კი – იაფეტიდებად.

მალხაზ გრიგოლია

გვ.2

გაზეთ “ილორის” ავტორთა საყურადღებოდ!

ჩვენგან დამოუკიდებელი და გაურკვეველი მიზეზების გამო მოხდა გაზეთის ვებ-გვერდის დაბლოკვა, რის მიზეზადაც საიტის ადმინისტრაცია ასახელებს უნებართვო შეღწევის მცდელობას.

აღნიშნულის გამო შეიცვალა ჩვენი ელექტრო-ფოსტის მისამართი და 2015 წლის 28 ოქტომბრიდან იგი იქნება:

roland.jalagania@mail.ru

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება

რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა?

გვ.5

თენგიზ მდივანი: ფრთხილად, სამშობლოვ, ფრთხილად!

გვ.7-8

ჰამლეტ ჭიკაშვილი: კაატა ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს

გვ.3

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

...მთელი მსოფლმხედველობა რუსთაველისა პოეზიასა და, საერთოდ, ხელოვნებას უყურებს არა როგორც გასართობს, არამედ შემოქმედების როგორც სერიოზულსა და მსმენელთათვის მარგ ფორმას...

გვ.3

8 დეკემბერი რეზო ჩხეიძის დაბადების დღეა

რეზო ჩხეიძე: *სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა დაანგრია, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა*

გვ.4

პროდუქტები, რომელთა ყიდვისას სიფრთხილე გმართებთ და მარტივი ხერხები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

გვ.10

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის პირველი ენა

ურარტუ ე.ი. ურალუს-არალუ-ალალუს სამეფოს მკვიდრს, ძეს ნიშნავს, ასევეა არარატიც. მეექვსე საუკუნეში (ძველი წელთაღრიცხვით) ინდოევროპული ტომები შემოიჭრნენ ურარტუს ტერიტორიაზე. მიიღეს აიური სახელწოდება არმენები. მათი ზეგავლენით (თუ ამ ტერიტორიის ადრინდელი სახელწოდებით) საკუთარ თავს უწოდეს ჰაიელები (აიელები). ჰაოსის ეთნარქულ სახლში იგულისხმება დღევანდელი მეგრელ-შანების ნათესავი (აიოსი), რომლებიც როგორც პროტოკოლხები, საკუთარ თავს აიელებს უწოდებდნენ. წარღვნის შემდეგ კაცობრიობის წამოშობის ადგილი კავკასია იყო.. შემდეგ ჩვენი ნათესავიდან გამოსული დაბალ-განვითარებული ინდოევროპული ტომების შემოჭრით (რაც ცოდვების გამო სასჯელი გახლდათ) მოხდა მათი ასიმილირება. ძვ. სომხურში, რომელიც მკვდარ ენად ითვლება, ბევრი აიური წამოშობის სიტყვაა. არის ასეთი გამოთქმა: **„მოვიდა არამი, გააგდო ალალი.” არმ** არმენიის სახელწოდების ფუძეა.

არმაზი იგივე **არმაშ** აიურად არმენული წარმოშობის ღვთაებაა. მზის ღვთაებათა წამოდგენა იყო კეთილიცა და ბოროტიც: მზეს ბოროტებაც შეეძლო მოეტანა და კეთილიც. ბგერათა გადასვლით მზეს უკავშირდება ისეთი ერების სახელწოდებები როგორიცაა ელინები და ერინები, ალანები ანუ არანები. არია-არან-აირან-ირონ, არია-ალია. არიელები ძირითადად ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ, რაც ნებელობითი ინიციაციის გამოხატულებაა. ესპანური არმადაც მზეს უკავშირდება. ბუნებრივი მოვლენაა: ამოვიდა მზე და გაიფანტა ღამის სიბნელე. ასეთ ძლიერებას უკავშირდებოდა ყოველივე ძლევამოსილი.

აიურ ენაში თანხმოვნები ხრ, რომელთაგან წარმოსდგება ბევრი სიტყვა, სხვადასხვა ენაში ნიშნავს მზიანობის წამოშობას. მაგ:. ხარა, ხა – შობა, რა – მზე. მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვის ძველი კოლხური ფორმა იქნება: ხა. საიდან მოდის, მეგრულში მშობლის აღმნიშვნელი სიტყვა ხატე. სიტყვები **„ხარება“ „სიხარული“** (მეგრ. ხიოლი ანუ ხიორი). ბერძნული ხარისტე-ხრისტოს, ინდური კრიშნა ან ხრიშნა, მასთან დაკავშირებულია გამოთქმა ხარი, ხარი კრიშნა ე.ი. აიური განმარტებით იხარე კრიშნა. ეგვიპტური ღვთაება ჰორა ანუ ხორა. ბერძნულად სოფელს ხორიონ ჰ ჰქვია, რაც კოლხურ ხორ, ოხორთან არის კავშრში. რაც სახლს, დასახლებას ნიშნავს.

ადრე ჩვენი მოდგმა ცხოვრობდა იმ ტერიტორიებზე, სადაც კაცობრიობის წარმოშობა მოხდა. სომხეთს ძველად ჰაია ერქვა. ისტორიული წყაროების მიხედვით პროტოაიურ კარდუხების მოსახლეობა, დღევანდელი ჰაიასტანის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ძირითადად მეგრელ-ჭანების (შანების) წინაპრები, რომლებსაც შემდგომ ქართების ტომი გამოეყო და ქართული მსოფლმხედველობა უმთავრესად აიურ-არმენულ-ირანულ კულტურის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. ძვ. აიელებს (კოლხებს) ქართებზე ადრე სვანური ტომი გამოეყო. მოვიყვანოთ ასეთი შედარება, სადაც ხდება გადასვლები: შანი-სანი-ზანი-ჭანი-შონი-შუანი-სვანი. მეგრულად სვანის სახელწოდება შონი იგივე ჭანი რაც ზეციურ ხელდასხმას, დანიშვნას აღნიშნავს. შანა, შანუა მეგრულად ნიშნავს დაწინდვას, დანიშვნას. როგორც ქართლი წმინდა სიტყვა **ватат**-დან გამომდინარეობს. გამოდის აიურად წმნიდა ყოფილა შან ანუ შანტე, რადგან ჩვენი მოდგმაა საწყისი კაცობრიობის, ღვთის ნების პირველი შემცნობი ჩვენ უნდა ვიყოთ. ძველი აიუელები ასო-ნიშან შ-ს გამოსახავდნენ პოსეიდონის სამთითას სახით. (...), რაც სიმბოლო იყო წყლის სტიქიის ძლევამოსილებისა, შ ასოს ამგვარად წერდა უძველესი კაცობრიობის მრავალი ხალხი. მათ შორის ბაბილონელები თავიანთ ლურსმულ დამწერლობაში. ეგვიპტური იეროგლიფურ, ჩინურ-იაპონურ, ფინიკიურ, ძველებრაულ, არაბულ, სლავურ დამწერლობებში. შ გადასული იყო ს-ში ძველბერძნებსა და რომაელებთან (ლუდვიგ ზაიდლერი, „ატლანტისი“ თბ. 1972წ. გვ. 252). აქედან გამომდინარე, შან იგივე ჭან აღნიშნავს იმ ძველ მესეფეთა მოდგმას, რომლებიც ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროებზეც ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ ღვთაება პოსეიდონზე (ფშეიტონ) ლოცულობდნენ და ცივილიზაციას აძლევდნენ მთელ წინარე კაცობრიობას.

მსოფლიოს დიდი მეცნიერები დაინტერესებულნი არიან წინარე კაცობრიობის ისტორიის კვლევით. მწერალ ვლადიმერ ალფენიძეს მათი ნაშრომებიდან მრავალი საინტერესო მოსაზრება აქვს ამოწერილი ჩვენი ნათესავის შესახებ. კეთილ, ნაშრომში „ატლანტიდური ჩანაწერები“ დედამიწის უძველესი ცივილიზაციის, ატლანტიდის შესახებ ის წერს: „ატლანტიდის შესახებ მსოფლიო ლიტერატურის გადათვალიერების დროს თვალში მომხვდა საქართველოს ისტორიაში დღემდე უცნობი წარღვნამდელი ხალხი „კოლხუა“, რომელსაც მსოფლიო მკვლევარები კატასტროფამდელ ატლანტიდის მოსახლე ხალხად მიიჩნევდნენ და მას დიდ კულტურულ როლს მიაწერდნენ წარღვნის შემდგომი პერიოდის ატლანტიკის ოკეანის გაღმა ცივილიზაციების განვითარებაში. ატლანტიდას ერქვა კოლხეთის მეფის აიეტის ახლო ნათესავის სახელი ატლანტი. ჰელიოსის და ატლანტის მამები ჰიპერიონი და იაპეტი ძმები არიან. ხოლო ჰელიოსი, როგორც ვიცით აიეტის მამაა. მე ვახდენ „კოლხუას“ და „კოლხას“ იდენტიფიკაციას. ეს ერთი და იგივე ხალხია. გადავხედოთ ევრაზიის სივრცეს, რომელიც უპყრია ჰელიოსის ძმის, კოლხეთის მეფის, მზის დინასტიის, აიეტიდების დინასტიურ ოჯახს: ჰელიოსის ძე აიეტი კოლხეთის მეფეა, მისი და მინოსი, პაიფაე – კრეტის დედოფალია, აიეტის მეორე და კირკე – რომის იმპერიის, ლათინთა ეპონიმის, ლათინთა პირველი მეფის ლათინუსისა და რომის იმპერიის უზენაესი ღმერთის – იუპიტერის დედაა. აიეტის ასული, ჰელიოსისი შვილიშვილი მედეა – ათენის დედოფალია, კირკეს შთამომავალი იტალოსი – იტალიელი ხალხის მამამთავარია, კირკეს ლავინია – რომის იმპერიის იულიანთა დინასტიის ცეზარისა და ავგუსტის დინასტიის სახელმდებლის – იულიუსის (ასკანიას) დედაა. ხოლო კირკე – მისი დიდი დედა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?... (გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ „აიას“ მე-11 ნომერში. გვ. ტ 99)

სახელწოდება კოლხას ძირი ხორ-ში ბგერების შენაცვლებითაა მიღებული (ბგერა კ ხ-ში გადადის, ლ კი რ-ში). წყალი მეგრულად – წყარი. ასე რომ კოლ ნიშნავს ხორ-ს. მეგრულად ყოროფას (რაც სიყვარულს ნიშნავს) ძირი ხორ-ში გადადის. ძველ აიურში შიყვარული ასე გამოითქმის: ხორონ ანუ ხორ სახლსაც ნიშნავს. ოხორ, რაც წმიდათაწმიდა იყო ჩვენი მოდგმისათვის. სვანური ქორ ხორაა მეგრულად. სიტყვა სა-ხლ-ის ძირი ხლ ხრ-ს შეიცავს. ქართული სიტყვა სიყვარულის ძირი ყვარ-ხვარ-ხუარ-ხარ-ხორაა. ჩვენი ნათესავი გამოირჩევა გულისხმიერებით. სიყვარულსაც გულთან აქვს კავშირი. ღმერთი ადამიანს გულისთქმების საფუძველზე განსჯის. ხა დაბოლოება მეგრულში აღნიშნავს შობას – მდედრობით სქესს. გათხოვილ ქალს სამეგრელოში მოიხსენიებდნენ, როგორც, მაგალითად, ჭანტურ-ხეს, გაბუნ-ხეს და ა.შ. დედაქალის კულტის გამო აიურ მოდგმაში მდედრული სქესის ღვთაებები სჭარბობდნენ. მაგალითად, რეა, დია, ნანა, დალი და ა.შ. ასე რომ სახელწოდება კოლხას, იგივე ხორახს გულისხმიერებასთან, სიყვარულთან აქვს კავშირი. ძველად ხმოვნები იკვეცებოდა: ხორ ფორმაში შეიძლება ნაცვლად ო ხმოვანისა ა ხმოვანი ჩამჯდარიყო. ან კიდევ უ, ო, ი. ძველაიურში ხ ასო გამოისახებოდა ასეთი ფორმით (X), რაც მშობიარე, ფეხებგაშლილ ქალს აღნიშნავს. ე. ი. (X) ხ ბგერა მზიურობისა და არსებულობის აღმნიშვნელი იყო... ქალი გულისხმიერი, გრძნობისმიერი არსებაა. მამაკაცი კი – გონებისმიერი, საქმისადმი, შემოქმედებისადმი მიდრეკილი. სიყვარული, სიხარული და სხვა გრძნობები უფრო მდედრულ სამყაროს განეკუთვნება. პირიქითაც ხდება. შეიძლება მამაკაცი გრძნობიერი იყოს, ხოლო ქალი – გონებისმიერი, რადგან ჰარმონიულობა და ღვთაებრიობა სწორედ ამაში მდგომარეობს. აიურად რვთაება გამოითქმის, როგორც ხუტაება და სიტყვა ხუტა შეიცავს ორ თანხმოვანს ხ და ტ. რაც მდედრობითისა და მამრობითის ჰარმონიულ შერწყმას ნიშნავს. ჰარმონიულობისათვის ადამიანში გონებრივობაც და გრძნობიერებაც უნდა იყოს განვითარებული. ამას განსაკუთრებიტ ქალისა და მამაკაცის შეუღლების პროცესი უწყობს ხელს.

ურარტული ღვთაება ხალდი იგივე ქალდი, უკავშირდება ქალდეურ მოდგმას. **„ქართლის ცხოვრებაში“** მოხსენებულია არიან – ქართლად წოდებული ქვეყანა, რომელიც სამხრეთით მდებარეობდა. აქ ურარტუზე, ქალდეურ ნათესავზეა საუბარი: ხალდი-ქალდეველი-ქართველი. ასე რომ ტომის სახელწოდება ქართი იგივეა, რაც ხარტი, სხვა გამოთქმით, ხურტი ანუ ხურიტი. ხურიტები ურარტუელებად მიჩნეული ხალხია. ტ ბგერა ძველ აიურში აღნიშნავდა მამარულ სქესს და გამოისახებოდა ჯვრით (+) რომელიც გამოხატავდა ქვეყნის ოთხივე კუთხეს. ძველაიური სახელებია აიეტი და აფშირტე... ქართული ძე მოდის მეგრული ტი-დან გამომდინარეობს... ბიჭი მეგრულად არის წიე, რომელიც იგივეა, რაც წიე-ძიე-ჯო-ჭო-დიე-დი-ტიე-ტე: გიორგაძე-გიორგადე ან გიორგადი-გიორგატე ან გიორგატი.

ღვთისგან რჩეული ებრაელთა ერიც გამოსულია ქალდეური მოდგმისგან. აბრაამის, ისაკისა და იაკობის დროს წარმოიშვა ებრაული ენა ქალდეურ-სირიულ-არამეული დიალექტებისაგან. პლუტარქე, ძვ. ბერძენი მოაზროვნე, მიუთითებს, რომ კოლხები ქალდეური წარმოშობის არიან. ქალდეა ანუ ხალდეა ერქვა დღევანდელ ტრაბზონთან არსებულ ჭანურ დასახლებას. სახელ ქალდეას ივანე ჯავახიშვილი აკავშირებდა ქართველებთან: დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართმეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) იმავე ქვეყნის სახელი გვხვდება, იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წამომადგენლებს, სვანებს, აქვთ შემორჩენილი – ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის. („თხზულებანი“ ტომი 1. 1951წ. გვ. 403 -404); **„საფიქრებელია რომ ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქალდ-თან და მისი მეშვეობით სხვა ამავე ძირის წინააზიურ სახელებთან“ (ს. ჯანაშია. თხზ. ტ. 3, 1959, გვ. 195).** ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში **„ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიანიდან იესომდე“** (გვ. 31- 32) **წერს: „აბრაამი ჭეშმარიტი ღმერთის მადიდებელი იყო, მისი სამშობლოი ქვეყანა შუამდინარეთში ქალდეა, ქალაქი ური იყო; ამ დროისათვის ქალდეა ერქვა ქვეყანას ტიგროსსა და ევფრატს შორის, თითქმის სპარსეთის ყურედან ბაბილონამდე. აქ, როგორც აღნიშნული იყო, ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეპოქაში ჯერ შუმერები, შემდეგ ხურიტები და პროტო-ქართველების მონათესავედ მიჩნეული სხვადასხვა ტომები სემიტებთან ერდად. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ქალდეა უფრო მოგვიანებით ეწოდებოდა, დღევანდელ საქართველოს მეზობლად მდებარე ქვეყნებსაც – ურარტუდან პონტოს ჩათვლით გადაშლილ მხარეს. ურარტუელთა უზენაეს ღმერთს „ხალდ“-ქალდ ეწოდებოდა და ისინი თავიანთ თავს ქალდეველებად მიიჩნევდნენ. ასე როი, ქალდეა არამარტო აბრაამის წინაპართა სამშობლოა, ის ებრაელთა და ჩვენი მოდგმის პირველ სამშობლოდაც შეიძლება ჩაითვალოს. ებრაელებს სახელი ეწოდა, როგორც ფიქრობენ, ებერის შთამომავლების გამო. საგულისხმოა რომ იბერი ქართველების სახელწოდებაცაა. იბერიელთა და ებრაელთა სახელწოდებების მსგავსება შეიძლება შემთხვევითი იყოს. მით უმეტეს, რომ ერთნი იაფეტელები, მეორენი სემიტები არიან, მაგრამ ჩანს, ებრაელთა და ქართველთა წინაპრებს რადაც ეთნიკური მსგავსება თუ ნათესაობა ჰქონიათ. ამით უნდა იყოს გამოწვეული მეცნიერთა ერთ ნაწილში არსებობა ვერსიისა, რომლის თანახმად ებრაელები კავკასიური წარმოშობის ხალხად მიიჩნევა.“ „აბრაამის მამის თარას ქალდეველთა ურიდან გამოსვლის დროისათვის ქალდეა მართლაც ქართველთა წინაპარი ტომებით ყოფილა დასახლებული.“** (იმავე წიგნში, გვ 33).

ნიკო მარი თავის თხზულებებში აღნიშნავდა ქართველური მოდგმის სემიტურთან ნათესაობას. იგი ინდოევროპელებს პროტოაიელებისგან გამოსულ ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევდა.

წმ. მამის, ექვთიმე ათონელის (თარგმნ) წიგნში **„ხალხთა წარმომავლობის შესახებ“** – აღნიშნულია, რომ იბერები, მეგრელები, ლაზები, აფხაზები და ჩერქეზები სემიტური მოდგმის ხალხებად იწოდებიან, ხოლო ქართები, მესხები კი – იაფეტიდებად.

საინტერესოა ჩვენი ხალხის ისტორიის კვლევა. ამ მხრივ გასაღები საიდუმლოს გახსნისა არის ეტიმოლოგიური ძიება. თვით სახელწოდება აია ბევრ მკვლევართან გაიგივებულია მზესთან, სიწმინდესთან.. მაგ. კონსტანტინეპოლის უდიდეს ტაძარს, მართლმადიდებლობის ბურჯს აია სოფია ერქვა. შესაძლებელია აია აიურადაც წმინდას, ზეცად ამაღლებულს ნიშნავს. მეცნიერებისათვის ცნობილია ფაქტი, რომ ბერძნულმა ცივილიზაციამ საფუძვლად გამოიყენა პროტოაიური კულტურა და შექმნა თავისი ბრწყინვალე ანტიკური და შემდეგ ქრისტიანული კულტურა. აია სიწმინდის ზოგადი გაგების არქეტიპია. ის შეიძლება იყოს აღმნიშვნელი გრაალის მოპოვების მსგავსი მისტერიებისა. ბერძნულ მითში **„ოქროს საწმისის“** შესახებ აღწერილია ელინიზებული პელაზგი იასონის მიერ ოქროს საწმისის მოპოვება, რაც ნიშნავს სულიერი და არამატერიალური ოქროს მოპოვებას (დაბრკოლებათა გადალახვის გზით). ფიზიკური ოქრო, გარდა აიისა, ბევრი იყო სხვა ქვეყნებშიც. ოქროს ვერძის ტყავი სიმბოლური მნიშვნელობისაა, მინიშნება ცხვრის ტყავში გახვეულისა: ცხვარივით მშვიდი ადამიანი მოიპოვებს ღვთიურ სიბრძნეს – სულიერ ოქროს. ჩემი აზრით, ოქროს საწმისში იგულისხმება ადამიანი და მისი სულიერი ცოდნა, რომელიც გაყვანილ იქნა აიადან; ბერძნებისგან კი ეს ცოდნა მთელ მსოფლიოს თანდათანობით გადაეცა, რომელმაც დიდი გარდატეხა მოახდინა მთელ საკაცობრიო ისტორიაში. განვითარდა ლოგიკური აზროვნება, ჰომეროსის ნაწარმოებებიდან ჩამოყალიბდა ლიტერატურის ისტორია და ა. შ. აქროს კრავის კულტი ჩვენს ნათესავთანაა მინიშნებული. კოლხები და იბერები ერთი და იგივე ტომია. ამის შესახებ დიდი მეცნიერების მოსაზრებას შემოგთავაზებთ: ივანე ჯავახიშვილი, (თხზულებანი. ტომი 1 გვ. 231) წერს: **“პროფ. ნიკო მარმა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების გამოცემაში არაბული ვერსიის თანახმად სრულებით მოულოდნელად წამოაყენა დებულება, რომ რუფინუსის ცნობა იბერიის გაქრისტიანების შესახებ სრულებით აღმოსავლეთ საქართველოს არ ეხება. მარტო, იმ საბუთით, რომ ეგრისი და მეგრელი მისი აზრით ძველი სატომო სახელის ჰიბერისაგან უნდა იყოს წამომდგარი. ნიკო მარი ამტკიცებდა, რომ იბერიად აღმოსავლეთ საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთ საქართველო, სამეგრელო და მეგრელები. განთქმული საეკლესიო მოღვაწე იბერიის უფლისწული პეტრე იბერი ალბათ სამეგრელოდან იყო და იერუსალიმშ არსებულ იბერთა და ლაზთა მონასტრებიც ალბათ ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდეს.“ „ნიკო მარმა იბერნი „მეგრელები“ უწოდა”** (ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი ტ.1 გვ. 235 თბ.)

ღვაწლმოსილი მეცნიერი აღმოსავლეთ საქართველოს მეგრელებად მიიჩნევს, რადგანაც ძველ დროში მთელი კავკასია კოლხური კულტურის ზეგავლენის ქვეშ იყო. ერთ დროს მეგრელ-შანებიდან გამოსული ქართების ტომი დღევანდელ ქვემოქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ (ძირითადად) და განიცდიდნენ სომხურ-სპარსულ კულტურის ზეგავლენას, ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყვეს ქართების ტომის დედა კოლხეთიდან გამოყოფისა და ცალკე ქათული სახელმწიფოს შექმნის სეპარატისტულ იდეას, რაც გამოიხატა კოლხთა შევიწროებით, გასომხებული ლაზების მიერ არამეულ-ბერძნული დამწერლობის ქართულად გადმოკეთებაში (პარალელი შეიძლება გავავლოთ დღევანდელი აფხაზეთისა და ოსეთის ისტორიას საქართველოსთან მიმართებაში). რადგანაც ინდოევროპული კულტურა უფრო მატერიალურთან ახლოს იყო. განვითარდა ქართული მწიგნობრობა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეფე ფარნავაზმა განავრცო მაღალსულიერებაში მყოფ იბერთა (იგივე მეგრელთა) სახელმწიფოში. მდინარე მტკვრის ზედა ნაწილში მცხოვრები იბერები მართავდნენ სახელმწიფოს აიურ-სომხურ-სპარსული კულტურის ზეგავლენით შექმნილი ქართული მწიგნობრობით. VI საუკუნეში სპარსეთის-სომხეთის დახმარებით ქართების ტომი ჰეგემონობას აღწევს. კოლხ-იბერთა მეფობა იქნა გაუქმებული.

მალხაზ ბრიგოლია,
აბაშა,
(გაგრძელება იქნება)

პრეზიდენტი საქართველოში – შოთა რუსთაველი

რუსთაველის პოეტიკა

ამის შემდეგ რუსთაველი კონკრეტულად ასახელებს იმას, ვინც შეადგენს მისი აზრისა და შემოქმედების მთავარ სახეს, ვისთვისაც დაუწერია არა მარტო პოემა **"ვეფხისტყაოსანი"**, არამედ **"ქებანიც"**. რუსთაველი სწორედ ისე მოქცეულა, როგორც დანტე ალიგიერი. სანამ დანტე ალიგიერი დაწერდა **"ღვთაებრივ კომედიას"**, მან დაწერა **"La Vita Nuova"**, სადაც გვაუწყებს, რომ უნდა დაწეროს მისი გულის სადიდებლად ისეთი რამ, **"რაც ჯერ არ თქმულა არავისზე"**; აქ დანტეს ჩაფიქრებული აქვს დიდი პოემა. რუსთაველსაც დაუწერია თამარისადმი მიძღვნილი ქებანი **"არავად გამორჩეული"** და მხოლოდ მერე შესდგომია **"ვეფხისტყაოსნის"** წერას. ეს ფაქტი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ რუსთაველს ახასიათებს როგორც გამოცდილ მწერალს – ლიტერატურული ხერხების დიდ მცოდნეს. მთელ **"ვეფხისტყაოსანში"** ნათლად ჩანს ვირტუოზისა და მეცნიერულად მომზადებული მწერლის ოსტატობა, მისი მაღალი ესთეტიკური კულტურა.

ლიტერატურა, რუსთაველის გაგებით, შემოქმედების რთული ფორმაა, ხოლო პოეზია – სიბრძნის ერთ-ერთი დარგთაგანი. პოეზიას რუსთაველი თავისი დროის ტერმინით შაირობას უწოდებს, ჭეშმარიტი შაირობა **"სიბრძნისაა ერთი დარგი"**. პოეზიისა და სიბრძნის ერთმანეთთან დაკავშირება რუსთაველს უნდა პოეზიის ღრმა ბუნების გამოკვეთისა და გამოკვლევისათვის. რუსთაველის მთელი ყურადღება პოეზიის დიდი მნიშვნელობისაკენ არის მიმართული; ამისათვის რუსთაველი, უწინარეს ყოვლისა, იწყებს მელექსეთა კატეგორიებად დაყოფას. მელექსეობა პოეტობას არ ნიშნავს, გვეუბნება რუსთაველი: **"მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი..."** (15), ყოველი მოლექსე პოეტი როდია. მოლექსეებს, რომელთაც **"არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა"** (16), რუსთაველი ადარებს მონადირე ყმაწვილებს, რომელნიც **"დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა"** (16). ჩვეულებრივი მელექსეობა, ალბომებში პატარა შაირების წერა, პოეტობას არ ნიშნავს. რუსთაველი არ ივიწყებს მოლექსეობის იუმორისტულ ფორმასაც: **"ჩვენ მათიცა გვეამების..."** ლექსი ნათქვამი სანადიმოდ, სამღერლად, სალაღობოდ **"კარგი არის"**, მაგრამ **"მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად"** (17). როგორც ცხენს **"გამოცდის"** გრძელი შარა და დიდი რბევა, მობურთალს მოედანზე **"მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა"**, ისე პოეტს გამოსცდის ლექსთა გრძლად თქმა. თუ მოლექსეს ლექსი გამოელია, თუ მოლექსემ სიტყვა ვერ მონახა, თუ მან **"ჰქმნა სიტყვამცირობა"**, იგი ჭეშმარიტად პოეტი არ არის. გრძლად თქმა რუსთაველს სულაც არ ესმის ვულგარულად. რუსთაველი იმას კი არ ამბობს, რომ თუ პოეტმა დიდი პოემა დაწერა, ის უსათუოდ კარგი იქნება; გრძლად თქმა, რუსთაველის გაგებით, ნიშნავს სერიოზულ თქმას: პოეზია სიბრძნის დარგია და ყოველი შემთხვევითი ტაეპი, ნათქვამია ექსპრომტად, სალაღობოდ, რუსთაველს პოეტურ ნაწარმოებად არ მიაჩნია. თუ რაოდენ დიდ და სასარგებლო მოვლენად თვლის რუსთაველი პოეზიას, ეს ჩანს სიტყვებიდან **"მსმენელთათვის დიდი მარგი"**. პოეზია მსმენელთათვის სასარგებლოა – ამბობს რუსთაველი. მეორე მხრით, პოეზიაში **"გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის"**, ზოგიერთი ისტორიკოსი წინააღმდეგობას ხედავს რუსთაველის გაგებაში; მართლაც, ერთ ადგილას რუსთაველი ამბობს: **"მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად"** (17), მეორე ადგილას კი თითქოს საწინააღმდეგოს გვეუბნება: **"გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი"** (12). საკმარისია დააკვირდეთ ამ წინააღმდეგობათა არსს და დარწმუნდებით, რომ წინააღმდეგობა აქ არ არის. რა თქმა უნდა, **"ვეფხისტყაოსნის"** ავტორს ჩვენ ვერ დავწამებთ, ვითომ მან არ იცოდეს **"გრძელსა"** და **"კარგს"** შორის განსხვავება. რუსთაველმა მშვენივრად იცის, რომ გრძლად თქმა ყოველთვის კარგად თქმას არ ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში გრძლად თქმა ნიშნავს კარგად და ბრძნულად თქმას. **"მოკლედ თქმა"** რუსთაველს ესმის კონკრეტულ თქმად და არა ისე, თითქოს რაც მოკლედ ითქმის, ის არ ვარგოდეს. განა შეიძლება სხვანაირად რუსთაველის გაგება? ერთ სტრიქონში რუსთაველი ამბობს: **"გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი"** (17), ხოლო მეორე სტრიქონში რუსთაველი მელექსეს ადარებს ცხენს, რომელსაც გამოცდის შარა გრძელი და დიდი რბევა. აქ რომ წინააღმდეგობა იყოს, რუსთაველი, ცხადია, ასეთ აშკარა ულოგიკობას არ ჩაიდენდა და ორ, ერთმანეთის უარმყოფ აზრს ერთი საგნის განმარტებაში არ იტყოდა. ცნება **"გრძელი"** აქ სინონიმია **"სერიოზულისა"** და **"ბრძნულის"**, ხოლო ცნება **"მოკლედ"** სინონიმია **"კონკრეტული"**-სა. ამას გვიკარნახებს ის განმარტება, რომელსაც რუსთაველი შაირობას აძლევს.

მთელი მსოფლმხედველობა რუსთაველისა პოეზიასა და, საერთოდ, ხელოვნებას უყურებს არა როგორც გასართობს, არამედ შემოქმედების როგორც სერიოზულსა და მსმენელთათვის მარგ ფორმას. საგულისხმოა, რომ შუა საუკუნეთა სიღრმეში ქართული გონება უფრო სწორად არკვევს ხელოვნების ბუნებას, ვიდრე ევროპის აზროვნების დიდი წარმომადგენელი – კანტი. გერმანელი ფილოსოფოსის განმარტებით, პოეზია მოკლებულია სარგებლიანობისა და ინტერესის თვისებებს. კანტი იცავდა წმინდა ხელოვნების პრინციპს. რუსთაველი კი პოეზიის შესახებ ამბობს: **"მსმენელთათვის დიდი მარგიაო"**.

თანამედროვე გაგება პოეზიისა სავსებით იღებს რუსთაველის აზრს. პოეზია არ არის თამაშისა და ჭვრეტის ნაყოფი. ხელოვნება, მისი უსათუოესი ფორმა – პოეზია – **"მსმენელთათვის მარგია"** და შეადგენს სოციალური კულტურის მხატვრულ გამოხატულებას.

სიყვარული რუსთაველის გაგებით

რუსთაველი ნათელი გონების მწერალია. პოეზიის განმარტებასთან ერთად, შესავალში, იგი იძლევა სიყვარულის ორიგინალურ განმარტებას. სიყვარულის განმარტება და თავისებური გაგების ცხადყოფა რუსთაველისათვის აუცილებელია. თუ დააკვირდებით, პოემის მთელი ფაბულა და გმირების ფსიქოლოგია შესავალში მოცემული სიყვარულის გაგების მხატვრულ განსხეულებას წარმოადგენს. რუსთაველი დასაწყისშივე ამბობს, რომ სიყვარულის ნამდვილი ფორმა, **"მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი; იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უდევს დიდი მზღვარი"** (24). სიძვასა და მიჯნურობას შორის დიდი განსხვავებაა; რუსთაველის გმირები – ტარიელი და ავთანდილი თავიანთი პირადი ცხოვრებით ადასტურებენ შესავალში მოცემულ განმარტებას. ტარიელს გაგიჟებით უყვარს ნესტან-დარეჯანი, მაგრამ ურთიერთობს სხვა ქალთანაც. როდესაც მას მოახსენეს, ქალი ვიღაც მოვიდაო, ამბობს – **"ჩემგან არის ნახმობარი"**-ო. ფატმანთან ურთიერთობა ავთანდილს ხელს არ უშლის გულში ატაროს ღრმა სიყვარული თინათინისადმი. ყოველგვარი გატაცება რუსთაველს სიყვარულად როდი მიაჩნია. რუსთაველის სიყვარული ექსტაზის ერთი ფორმათაგანია; მიჯნურობა სულიერი ლტოლვა და გახელებაა. რუსთაველის გაგებით, ბედმა ვისაც რა მისცა, იმას უნდა დასჯერდეს: **"მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს"** (11), ხოლო მიჯნური უნდა იყოს შეყვარებული, როგორც ყოველ პროფესიას ახასიათებს ერთგვარი თავისებურება, მიჯნურსაც აქვს დამახასიათებელი თვისებები:

"მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,

ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.

ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა" (23)

მაშასადამე, მიჯნური უნდა იყოს ლამაზი, ბრძენი, მდიდარი, უხვი, ახალგაზრდა, თავისუფალი, მჭერმეტყველი, ჭკვიანი, დამთმობი, უძლეველი მებრძოლი. ადამიანს, რომელსაც ეს თვისებები აკლია, არ შეუძლია იყოს მიჯნური. ამ თვისებებში წარმოსახულია საუკუნეთა ესთეტიკური იდეალი, როდესაც ფეოდალური კულტურა და რაინდების კასტა, უზრუნველყოფილი ურიცხვი მონების შრომით, ნადავლი სიმდიდრით, მემკვიდრეობით განვითარებულ ფსიქიკურ-ინტელექტუალური და ფიზიკური თავისებურებებით, ჰქმნიდნენ ცხოვრების ერთგვარ აზრს და სტილს. X-XII საუკუნეთა საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია ძლიერი იყო ეკონომიკურად და გონებრივად. საქართველოში ძველად იყო რამდენიმე კატეგორიის წარჩინებული წოდება; დიდგვაროვანი აზნაურები, მოსაკარგეევ აზნაურები, მომსახურე აზნაურები, მეფის მრჩეველები და სხვა მრავალნი შეადგენდნენ სოციალურად და კულტურულად ძლიერ კასტას. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები – პალესტინა, არაბეთი, სპარსეთი, სომხეთი, ბიზანტია, ელინთა კულტურის დიდი წარსულით ამშვენებდნენ და ზრდიდნენ იდეოლოგიურად საქართველოს საეკლესიო და საერო ყოფა-ცხოვრებას. ბიბლია, ყურანი, ვედას მოძღვრება, ძველი სპარსეთის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის კულტურული მემკვიდრეობა, არაბთა ხეტიალით მომიფანტული მთელ მსოფლიოში და, სხვათა შორის, საქართველოშიაც, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შედიოდნენ ქართველი ერის სოციალურ-ისტორიულ განცდებში – ქართველი ფეოდალური არისტოკრატია ამ სოციალურ-ისტორიულ განცდებს, აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციის ნაყოფს – აძლევდა ერთგვარ სტილს, ფორმას თავისი საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით, ამავე დროს ქმნიდა საკუთარს, ორიგინალურს. ისტორიაში უცბად და მოულოდნელად არაფერი ხდება. ყველაფერი ნაყოფია დიალექტური განვითარებისა. ქართული იდეოლოგია, რომელსაც ჩვენ რუსთაველის პოემაში ვხედავთ, მეტად რთული სოციალური ფსიქოლოგიის გამოსახულებაა.

კონსტანტინე კაკანელი

(გაგრძელება იქნება)

ჰამლეტ ჭიპაშვილი: პაატა ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს

გასული კვირა სხვა დღეებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ მსოფლიოს ბანმა პაატა ბურჭულაძემ ხმამაღლა განაცხადა, ძალების მოსინჯვა მსურს ქართულ პოლიტიკაშიო. ამ ინფორმაციის გარდა, ხალხის ყურადღება საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებამ მიიპყრო. მან განაცხადა, რომ ნატოს გაფართოება არ უნდა მოხდეს. არადა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი დეკემბრის ნატოს მინისტერიალს სულმოუთქმელად ელოდა და თვლიდა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის გაიხსნებოდა, მაგრამ ამაოდ... ამ პროცესებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.

– ბატონო ჰამლეტ, მომდერალი პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში წავიდა. იყო თუ არა ამის წინაპირობა?

– ორი წლის წინათ პაატა ბურჭულაძეს კულტურის მინისტრობა შესთავაზეს და უარი განაცხადა. უარი ასე ახსნა: ძალიან ბევრი ხელშეკრულება მაქვს დადებული და მინისტრობა ხელს შემიშლისო. პაატას უარი გულწრფელი არ იყო, ქვეტექსტში იკითხებოდა, რომ ამ ნაბიჯს გადადგამდა და გადადგა კიდეც. გაოცებული ვარ მისი გადაწყვეტილებით. ბურჭულაძე ჯერ კიდევ არ არის იმ ასაკში, რომ სცენა მიატოვოს.

– მაშ, რასთან გვაქვს საქმე?

– ეს ქართული სიხარბეა. პაატა ბუჭულაძეს სურს, გავლენა ჰქონდეს საზოგადოებაში. არ კმაყოფილდება იმით, რაც გააკეთა.

– იქნებ ბურჭულაძე ვინმეს დაკვეთას ასრულებს? იქნებ მას პარტიის შექმნა ვინმემ დაავალა?

– ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. თუ პაატა ბურჭულაძე პიროვნებაა, ამას არ იზამს. ის არ არის დამოკიდებული არც ქართულ პოლიტიკაზე და არც ქართულ კულტურაზე. ის უცხოეთში მოღვაწეობს. მას რევერანსები არ სჭირდება, ის არავისზე დამოკიდებული არ არის.

– ბიძინა ივანიშვილზეც ასე გვეგონა...

– ივანიშვილმა ფული ცუდი საქმეებით იშოვა. ალბათ, აღარავის სჯერა, რომ ფული კომპიუტერის ყიდვა-გაყიდვით დააგროვა.

– რა არის პაატა ბურჭულაძის მიზანი?

– მას ამბიცია ამოძრავებს. ყელში ამოუვიდა მომღერლობა და დიდი თანამდებობა უნდა, სავარაუდოდ, პრეზიდენტობა. ალბა, მინისტრთა საბჭოს ის ვერ უხელმძღვანელებს.

– რა გზას დაადგება, საით წავა?

– საით წავა და სადაც 25 წელი იღვწის. ახლა ავსტრიაშია, მას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა **"ნაციონალებთან"** და სააკაშვილთან. ვინმეს სჯერა, რომ ბურჭულაძემ **"იავნანას"** ფონდი თავისით დააარსა და უსახლკაროებს ფულს უხდიდა? ერთი ჯიხურის გახსნას ვერ შეძლებდი სააკაშვილის პერიოდში, იგივე ვითარებაა დღესაც. პაატა ბურჭულაძე **"ნაცების"** პერიოდში სულ პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში იყო, სულ მასზე წერდნენ და ლაპარაკობდნენ. არავის არასდროს შეუმოწმებია **"იავნანას"** ფონდი, არავინ დაინტერესებულა მისი შემოსავლებითა და გასავლებით.

– ვინ იქნება პაატა ბურჭულაძის ამომრჩეველი, თუ ის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს?

– ყველა დეგენერატი. ისინი ჩვენს ქვეყანაში ოხრად არიან. პაატას კარგი ბეგრაუნდი აქვს, ის ღარიბებს ეხმარება, უტვინო საზოგადოებას კი მეტი რა უნდა?! პაატას ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. არ მომეცემა საშუალება, პირადად დაველაპარაკო, თორემ აუცილებლად ვეტყოდი, რამ გამოგაშტერა ამხელა კაცი, რატომ იხდი საფურთხებლად თავს-მეთქი.

– იქნებ მსხვერპლია იმ ტექნოლოგიებისა, რომლებითაც მსოფლიოს მართავენ?

– არავითარი ტექნოლოგიები არ არსებობს, თუ ნამდვილად პიროვნება ხარ. რას ჰქვია დაკვეთა და ტექნოლოგია! არა, ბურჭულაძეს ამბიციები გაუჩნდა. თანაც, ნახეთ რა მოხდა? გაიქცა და პარტიის ჩამოყალიბების საკითხი ივანიშვილს შეუთანხმა, მერე ალასანიას ელაპარაკა. სავარაუდოდ, ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს. ბიძინამ იცის, რომ მის მიერ შეკოწიწებული პარტია არჩევნებში ხმების ძალიან ცოტა პროცენტს აიღებს და სატელიტები სჭირდება, ბურჭულაძე კარგი კანდიდატია. ივანიშვილი პრიმიტიულად და პროვინციულად აზროვნებს. ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა თამაშია, ბინძური თამაში და ამ სიბინძურეში არ უნდა გაეხვიოს.

ალბათ, გახსოვთ, ბურჭულაძე, როგორც კი მას სააკაშვილმა თითი დაუქნია, უკრაინაში გაიქცა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ეს არაფერს ნიშნავს? იგი აშკარად იზიარებდა სააკაშვილის პოლიტიკას.

– ოლანდმა თქვა, რომ ნატო არ გაფართოვდება, არადა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დეკემბერში ნატოს მინისტერიალზე სერიოზულ შედეგს ელოდა...

– ხიდაშელი სასაცილოა... სირიაში მიმდინარე პროცესებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. რამდენიმე დღის წინათ ვრცელი გადაცემა მიეძღვნა სირიაში რუსეთის მოქმედებებს. რუსეთმა ერთ დღეს თავისი ფრთოსანი რაკეტები კასპიის ზღვიდან გაუშვა სირიაში და ზუსტად ის წერტილები დაბომბა, რომლებიც სურდა. იმავე დღეს ჩრდილოეთის ოკეანიდან დაბომბა სირია. წარმოგიდგენიათ, რა მანძილი გაიარა რაკეტებმა? ეს ყველაფერი ზუსტად იყო ნაჩვენები და ვურჩევ ჩვენს პოლიტიკოსებს, ასეთ ინფორმაციებს გაეცნონ.

რაღა დროს ნატო და კატოა? ბოლო ხანს ნატოს თუნდაც ერთი წამოკნავლება ვინმეს გაუგია? ნატო ჩასვრილი და გაყუჩებულია. ეს ორგანიზაცია იდიოტების ბუდეა. საფრანგეთი ნატოს წევრია, მაგრამ მას კი არ მიმართა დასახმარებლად, არამედ რუსეთს. ნატოს წევრია თურქეთიც, რომელიც ნავთობის კოლონებს ატარებს თავის ტერიტორიაზე, ნავთობს, რომელიც მოპარულია და **"ისლამური სახელმწიფო"** ყიდის უცხოეთში. მოპარული ნავთობი თურქეთის საზღვაო პორტებიდან ევროპაში გადის. მართალია, ტვირთს არ აწერია, რომ **"ისლამური სახელმწიფოსია"**, მაგრამ ისე იაფია, რომ ამის მიხვედრა ძნელი არ არის. თურქეთმა რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდო. როგორ ფიქრობთ, რუსეთი ამას აპატიებს თურქეთს? ეს ზურგში დარტყმაა, თურქეთი კი მეგობარი ქვეყანა გვეგონაო. პუტინი ასეთ განცხადებებს ტყუილუბრალოდ არ ისვრის და აუცილებლად მოაყოლებს საპასუხო ზომებს. როგორც ჩანს, ვითარება დაიძაბება და რუსეთ-თურქეთის ომიც გამორიცხული არ არის.

– თუ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ვლადიმერ პუტინმა მომხდარზე "თვალი არ დახუჭა", საქართველო რა მდგომარეობაში აღმოჩნდება?

– ყველა პარამეტრით მძიმე ვითარებაში ვართ. თურქეთმა აჭარა, ფაქტობრივად, დაიპყრო. აჭარიდან ბევრია წასული **"ისლამურ სახელმწიფოში"** და ისლამისტების დროშის ქვეშ იბრძვის. თურქეთი არ მალავს აჭარის მიმართ თავის ინტერესს. ეკონომიკურად უკვე დაპყრობილი აქვს ეს ტერიტორია და შორს არ არის ის დროს, როდესაც პოლიტიკურადაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევს. აჭარის მაღალმთიან რაიონებში მეჩეთები უკვე მოქმედებს.

საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება და პოლიტიკოსები, რომლებიც დასავლეთისკენ ილტვიან, ჯობია, თვითონ გადასახლდნენ იქ და ამ ქვეყანას თავი დაანებონ.

ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი

რეზო ჩხეიძე — მსოფლიო კინოს პატრიარქი

(8 დეკემბერი დიდი კინორეჟისორის დაბადების დღეა)

2015 წლის მაისში მსოფლიო კულტურის მატიანეში დაიხურა ერთი დიდი ფურცელი – მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 89 წლის ასაკში, ცნობილი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა. ის ბოლო თვეების განმავლობაში, საავადმყოფოში, აპარატზე იყო მიერთებული.

ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა მსოფლიო კინოს პატრიარქმა რეზო ჩხეიძემ, რეჟისორმა, რომლის ნატიფი ხელით ჩამოქნილმა ჯარისკაცის მამამ გაიმარჯვა ყველა ომზე, რომლის მიერ გამოძერწილმა **"ღიმილის ბიჭებმა"** საკუთარი სიცოცხლის ფასად გაიმარჯვეს მტერზე, რომლის გმირმა მოხუცმა ადამიანმა მთელი საქართველო შეძრა ხეჭეჭურის ნერგების ძებნაში, რომლის მაგდანა და მისი ობლები დღესაც მისტირიან წართმეულ ლურჯას, რომლის გიორგი თორელი 300 არაგველთა მონდომებითა და თავგანწირვით იცავს ქართულ მიწას, რომლის მიერ ხელდასხმულმა ბაგრატიონმა საქართველო ქრისტეს საფლავიდან წამოღებული სანთლის შუქით გააცისკროვნა...

მსოფლიო კინოს მშვენებას ჯინა ლოლობრიჯიდას ერთხელ უთქვამს: **"ბედნიერი ვარ, რადგან იმ ხელს ვკოცნი, რომელმაც ჯარისკაცის მამა შექმნაო!"**

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი!

დიდმა იაპონელმა კინორეჟისორმა აკირა კუროსავამ რეზო ჩხეიძე მსოფლიოს ყველა ჯარისკაცის მამად აღიარა.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი!

მსოფლიო კინოს გრანდმა ფედერიკო ფელინიმ ერთხელ მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: **"ჯარისკაცის მამის"** შემდეგ ომის თემატიკაზე კინოსურათის გადაღებას აზრი არა აქვს, რადგან ახალს ვერაფერს იტყვიო.

ამ სიტყვებითაც ყველაფერია ნათქვამი!

დღეს რეზო ჩხეიძის მიერ რუდუნებით შექმნილი ყველა გმირი ისტორიის კუთვნილებაა, სამარადჟამოდ ჩაკეტილი გალერეის ბინადარი, რადგან მათ აღარასოდეს შეემატებიან ახალი გმირები, ისეთივე ლამაზები და საინტერესონი, როგორებიც იყვნენ საულია და ფუნდუ, დონ კიხოტი და სანჩო პანსა, მაია წყნეთელი და **"ჩვენი ეზოს"** ბინადარი ციცინო, სერგო ზაქარიაძის მოხუცი მეზღვაური და სხვანი და სხვანი.

დღეს ეს გმირები ობლები არიან, რადგან მათ მოუკვდათ მამა, ჭეშმარიტი ჯარისკაცის მამა, რომელიც, მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა კიდევ ახალი ეკრანული სახეების შექმნას გეგმავდა. მოძალებულ წლებს არ ეპუებოდა, ძველებური შემართებით მუშაობდა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან, უზიარებდა მათ ზღვა გამოცდილებას, დიდი კინოსკენ მიმავალ გზას უკაფავდა...

რეზო ჩხეიძე დაიბადა საბჭოთა რეჟიმის მიერ 1937 წელს დახვრეტილი ცნობილი მწერლის დავით ჩხეიძის (ლიტერატურული ფსევდონიმი – დია ჩიანელი) ოჯახში.

1943-1946 წლებში სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, 1953 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩისა და მ. რომის სახელოსნო). რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები: **„ჩვენი სასახლე" (1953), „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი" (1954) და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა" (1955; კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს რტო" და I პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოდესტივალზე, ორივე 1956).**

გადაიღო მხატვრული ფილმები: **„ჩვენი ეზო" (1956, ოქროს მედალი, I პრემია და დიპლომი მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე 1957), „მაია წყნეთელი" (1959), „განძი" (1961; დიდი პრიზი დელის II საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1961), „ზღვის ბილიკი" (1962), „ჯარისკაცის მამა" (1964, პრემია კორკში (ირლანდია) X საერთაშორისო კინოფესტივალზე, დიპლომი სან-ფრანცისკოსა და სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, პრიზი რომის II საერთაშორისო კინოფესტივალზე, ოთხივე 1965), „ღიმილის ბიჭები" (1969 საქართველოს კომკავშირის პრემია „ჯარისკაცის მამასთან" ერთად, 1970), „ნერგები" (1972; დიპლომი მოსკოვისა და ტაშკენტის საერთაშორისო კონოფესტივალებზე, ორივე 1973), „მშობლიურო ჩემო მიწავ!" (1980; მთავარი პრიზი და დიპლომი ვილნიუსის XIV საკავშირო კინოფესტივალზე, 1981; ლენინური პრემია, 1986; 1991 – უარი განაცხადა) და სხვა.**

ჩხეიძის ფილმებს ახასიათებს მაღალი იდეურობა, სიახლის გრძნობა, სისადავე, მოქალაქეობრივი ჟღერადობა. ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს IX-XI მოწვევების დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი სხვა ორდენითა და მედლებით. 1963-1981 წლებში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. 1974 წლიდან რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი.

სულმნათი რეზო ჩხეიძის ხსოვნის პატივსაცემად მკითხველებს გვინდა შევთავაზოთ მისი ინტერვიუ, რომელიც კინოხელოვანის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდა.

რეზო ჩხეიძე: სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა დააჩოქა, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა

რეზო ჩხეიძესთან ფრიდონთან ერთად მივედი, – ის ჩვენი გაზეთის ფოტოგრაფია და **"ეკლებზე იჯდა"** – გადაღებაზე მაგვიანდებაო! მასპინძელმა კი ბოდიში შემოგვითვალა, – რამდენიმე წუთი შემაგვიანდებაო – ტელეინტერვიუს იწერდნენ თურმე. რამდენიმე წუთი თითქმის ერთ საათად იქცა. ოპერატორებმა, – რა გვექნა, როცა ბატონი რეზო ლაპარაკობს, დროს ვეღარ გრძნობო! მე და ფრიდონსაც ასე დაგვემართა – როგორ შეიძლებოდა, არ მოგვესმინა – გვესაუბრებოდა ცხოვრებაზე, უფრო მეტად კი სიკეთესა და სიყვარულზე... საუბარი კინოთი დავიწყეთ.

– თქვენ გინახავთ ზაზა ურუშაძის **"მანდარინები"** ან გიორგი ოვაშვილის **"სიმინდის კუნძული"**? – ეს გენიალური ფილმებია! ცრემლს ვერ ვიკავებდი, როცა ორივე ფილმს ვუყურებდი! დაიხსომეთ, ის აუცილებლად ათქმევინებს მსოფლიოს, რომ ქართული კინოფენომენი დაბრუნდა (ამ სიტყვებიდან 3 დღეში ორივე ფილმი **"ოსკარზე"** წარადგინეს. – ე.ე.). სიტყვა **"ფენომენი"** განსაკუთრებულს ნიშნავს; ჩვენ, ვისაც არც ისე ბევრი გვიცნობდა, მსოფლიოს სწორედ ამ განსაკუთრებულის შექმნის ნიჭით ვაოცებდით. მახსოვს, სადაც ჩვენს ფილმებს უჩვენებდნენ, ქუჩაში ხალხი ტაშს გვიკრავდა – **"ბრავო, ჯეორჯიას!"** ძახილით. ვერ ვიკავებ ცრემლს, როცა მეკითხებიან, – ბატონო რეზო, ქართულ კინოს რა მოუვიდაო? ეს მოსკოვშიც მკითხეს. ამ ხნის კაცი დავიბენი, სიტყვა ვეღარ მოვატრიალე და მოვბოდე, – ახალგაზრდა რეჟისორები ახალი იდეებით მოვიდნენ, თავის სტილს ეძებენ, მოძებნიან და კინო იქნებამეთქი! მაგრამ ასე რომ არ არის... სახელმწიფო კინემატოგრაფს ვერაფერს აძლევს. არადა, ფილმებს დიდი ფულის შემოტანა შეუძლია. გასაგებია, რომ კინო ის ხელოვნება არ არის, სადაც ფულს ერთ ფილმში დახარჯავ და მერე უნდა დაელოდო, როდის მოგაგებინებს მილიონებს, ბევრი სურათი უნდა გადაიღო და რომელიმე უსათუოდ შემოიტანს მილიონებს. როცა კინოსტუდია **"ქართულ ფილმს"** ვხელმძღვანელობდი, ახალგაზრდა რეჟისორებს წელიწადში 20-25 ფილმს მაინც ვაძლევდი გადასაღებად და არც ერთს იმედი არ გაუცრუებია. ამასთანავე კინო მხოლოდ რეჟისორი და ფული არ არის – ფილმის გადაღებისას ვითარდება მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ხელოვნების ყველა დარგი... ჩვენ კი სწორედ ეს გვჭირდება, ხელოვნებით უნდა ვაჯობოთ ყველას, ჩვენი სული და ძლიერება ხელოვნებაშია, თუკი ამ სულს ჩავახშობთ, აღარაფერი გეშველება... და თუ ოდესმე გამოვფხიზლდით და მისი გაცოცხლება მოვინდომეთ, ამას წლები, ცრემლი და სისხლი დასჭირდება.

რახან სულზე ვლაპარაკობ და ამასაც ვიტყვი: ადრე წესად იყო, ფილმის, გადაღებული მასალის სანახავად ჭკვიან ხალხს ვიწვევდით.

თენგიზ აბულაძის **"ნატვრის ხის"** გასასინჯად მოვიწვიეთ პატრიარქი (მას ყოველთვის ვიწვევდით) – მაშინ ცხუმი აფხაზეთის მიტროპოლიტი. ჩვენებისას მის გვერდით ვიჯექი და როცა სცენა მივიდა იმ მომენტამდე, სადაც მღვდელი მეზობელ ქალს უბეში ხელს უფათურებს, წამიხდა საქციელი, გავშეშდი. არ ვიცი, როგორ შემატყო, გადმოიხარა და ჩუმად მითხრა: – ნუ ღელავთ, ბატონო რეზო, ასეთები დღესაც არიანო. და ამით ყველაფერი თქვა...

აი, ასე მივდივართ იმ ჭეშმარიტებამდე, რომ ცხოვრება კეთილის და ბოროტის ბრძოლაა. ამას ვერ აიცილებ, მაგრამ შენ ისე უნდა იცხოვრო, რომ ამ ბრძოლაში გაამარჯვებინო სიკეთეს და სინანულს, რადგანაც ხშირად ცდები... ასე მოდის სიკეთის კეთების მადლი – თუ მადლს შვრები, რა ძალის ბოროტებაც უნდა დაგეტაკოს, მისხალი სიკეთით მოერევი. რასაც ვამბობ, ცხოვრებით გამომიცდია და გზად შემხვედრია:

მახსოვს, როგორ მიიღო სამხატვრო საბჭომ **"ნატვრის ხე"**. ეს საბჭო თავის აზრს გამოთქვამდა ფილმის ეკრანზე გამოსვლამდე.

დასრულდა ჩვენება, შუქი აინთო და ყველა მუნჯივით ხის. თენგიზ აბულაძემ ამას ვეღარ გაუძლო – უნდა გავიდეო. რომ დაბრუნდა, მის დანახვაზე საოცრება დატრიალდა... ყველა ფეხზე ადგა და ტაშს უკრავდა. ნოდარ დუმბაძის ცრემლები მახსოვს, მუშტით იწმენდდა...

თუკი რაიმე კარგი გავაკეთე ცხოვრებაში, ძირითადად იმ სამი ადამიანის დამსახურებაა, რომელმაც სიკეთის ფარანი ამინთო. პირველი ქუთაისში ჩემი სკოლის დირექტორი თამარ დახუნდარიძეა. როცა **"ხალხის მტრის შვილი"** გავხდი, მან თავის კაბინეტში შემიყვანა, გულში ჩამიკრა და მითხრა, არ ინერვიულო, მამაშენი პატიოსანი კაცია, ძველებურად განაგრძე სწავლა და შენ გვერდით ვიდგებიო. იმხანად ეს სასწორზე სიცოცხლის დადებას ნიშნავდა. მამას დახვრეტის შემდეგ სახლიდან რომ გამოგვასახლეს და არ ვიცოდით, სად წავსულიყავით, ქუჩაში ჩამოვლილმა უცხო კაცმა, ლადო მაჭავარიანმა წაგვიყვანა თავის სახლში 6 თვით. მესამე უცნობი ჩეკისტია, რომელმაც გამოსახლებისას ნუსხაში არ შეიტანა ჩვენი როიალი, რომელიც გავყიდეთ და რამდენიმე თვე თავი ამ ფულით გავიტანეთ... ზოგჯერ ერთი კეთილი სიტყვის მადლიც მთებს დაგაძვრევინებს. როცა **"დონ კიხოტის"** გადაღება დავაპირე, იმ დროს ესპანეთში ჩემს მეგობარს ანტონიო ალვარესს პატარა კერძო სტუდია ჰქონდა. 1939-ში სტალინმა რომ ესპანელი ბავშვები ჩამოიყვანა, ანტონიო ერთი მათგანი იყო. ჩვენ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდით ერთად. **"დონ კიხოტის"** გადაღებაზე კი სახელმწიფო მოლაპარაკება მიდიოდა, – ხელშეკრულებისთვის ესპანეთის მინისტრს უნდა მოეწერა ხელი. საშინლად ვღელავდი და აი, ასე გულგახეთქილი შევდივარ სამინისტროში, ჩერდება მანქანა და გადმოდის ანტონიო – რეზო, ნუ ღელავ, თუ ხელშეკრულება არ დაგიმტკიცეს, ფილმის გადასაღებ ფულს მე გიშოვიო! ვიგრძენი, როგორ გამაძლიერა ამ სიტყვებმა, – ნერვიულობა გაქრა და ისეთი შინაგანი ძალა მომეცა, მივხვდი, ეს საქმე აუცილებლად გამოვიდოდა.

– თქვენზე ამბობენ, რომ სიტყვის ძალით ბევრ საქმეს აკეთებდით.

– საქმეს ჩვენი წინაპრებისაგან მიღებული სულიერი სიბრძნე და ტრადიციები მაკეთებინებდა. განა ვინმე მეტყვის, რა შეძლო **"ვეფხისტყაოსანმა"** ქართველი ერისთვის? მაგრამ როცა ქართველი ამბობს, მე ტარიელი ვარო, ეს იმას ნიშნავს რომ მის სასიცოცხლო ძალებს ისევ **"ვეფხისტყაოსანი"** ამოძრავებს. მარტო **"ვეფხისტყაოსანი"**, არა, – აბა, დავაკვირდეთ, რა ენერგიაა ამ სტრიქონებში: **"იქნება, ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედაც ტირისა, /წავიდე, მეც იქ მივიდე, /სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, /ისიც მიამბობს ამბებსა, /მეც ვუთხრა ჩემი შვილისა"**. სწორედ ამიტომ, როცა სანაპიროზე ელგუჯა ამაშუკელის **"ვეფხისა და მოყმის"** ქანდაკებას ჩავუვლი, როგორც ეკლესიასთან, ისე ვიწერ პირჯვარს.

– ამის შემდეგ სტალინზე ფილმის გადაღება როგორღა გინდათ?

– მამაჩემი 37-ში დახვრიტეს... მაგრამ სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა ქვეყანა დააჩოქა, ვისაც ოდესმე ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა. მე მინდა, ისევ დაიბადოს მისნაირი და ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები დააჩოქოს! და რატომ არის გასაკვირი, რომ სტალინზე ფილმის გადაღება მინდა?! დიახ, ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები უნდა დავაჩოქოთ!

– დღევანდელ ხელისუფლებაზე რას იტყვით?

– ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი ისეთი დაპირება გასცა, რომლის შესრულება იოლი არ აღმოჩნდა. როგორი ასატანია, როცა თუნდაც ერთი კაცი სიტყვას გაძლევს და არ ასრულებს, მით უფრო ჩვენი ერისთვის, რომლისთვისაც სიტყვის მიცემა და მისი შესრულება უმაღლესი ღირებულება იყო. ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენასთან. თუ კაცი ფიქრობს, სამართალი არ არსებობსო, მის გულს ვეღარ მოიგებ... გარდა ამისა, კადრების დეფიციტია, – ბევრმა თანამდებობა მიტინგებზე აქტიურობის გამო მიიღო და აღმოჩნდა, რომ საქმის გაკეთება არ შეუძლია. ზოგჯერ ტელევიზორს გაოგნებული მივჩერებივარ – ვერ ვხვდები, კაცი რას ლაპარაკობს, რა უნდა... ამას ისიც ემატება, რომ ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაში მართლაც გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკიც ვერ ისწავლა... ზოგადად პოლიტიკაზე კი ერთ რამეს ვიტყვი, – ჩვენ ვართ ქვეყანა, რომლისთვისაც მუდამ ორი სახელმწიფო ებრძოდა ერთმანეთს. ეს ახლაც ასეა. ამიტომაც როცა ხელისუფლება ბრძენია, მან ისე უნდა ითამაშოს, რომ მტრად არც ერთი არ მოიკიდოს...

ახლა ჩემი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაც გამახსენდა მოსკოვში, როცა შევარდნაძემ ამ დეპუტატობის მედალი მომცა, ძალიან დამამძიმა – მაღალი ხარისხის კომფორტი ჰქონდა. ეს მასაც ვუთხარი; ერთი კი შემომხედა და, – ხომ არ გგონია, ეგ მედალი შენ მოგეცი, როცა მოსკოვში სცენარებს ჩაიტან დასამტკიცებლად, შემოდავება ვერავინ გაგიბედოსო. იმ მედლით ქართულმა კინომ მართლაც ისარგებლა. თუმცა, გულახდილად ვიტყვი, როგორც ახლა, ჩემს ასაკში სიყვარული მხვდება, მეჩვენება, რომ ასეთი არასოდეს მქონია, – უპირველესად, მამისეული სახლი დამიბრუნდა ქუთაისში. მინდა ამ სახლში ახალგაზრდა რეჟისორთა სკოლა გავხსნა. ამ დღეებში 88 წლის გავხდი და იმდენი სამადლობელი სიტყვა მითხრეს, ჩემი ყველა ტვირთი იმწუთას ერთი ხელის მოსმით გაქრა. დარბაზში სახედარიც კი შემოიყვანეს, **"მაგდანას ლურჯას"** გასახსენებლად, ეს როგორ შეიძლება დამავიწყდეს! არც იმაზე უკეთესი პატივი მქონია, რაც დღეს ქუჩაში გასვლის დროს მხვდება, როცა დედა-შვილი მოდის და დედა შვილს ეუბნება, – აი, ეს არის რეზო ჩხეიძე, დაიმახსოვრეო. არ ვიცი, ვიმსახურებდი თუ არა ჩემი ცხოვრებით ამას, მაგრამ ბედნიერი ვარ. ისე კი, რაც ვაკეთე, უმთავრესად ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთე, – მე ასე მგონია.

"მაგდანას ლურჯა"

ახალკურსდამთავრებულები ვიყავით, მე და თენგიზ აბულაძემ **"მაგდანას ლურჯას"** გადაღება რომ დავიწყეთ. მაშინდელმა სტუდიის დირექტორმა თითქმის უკვე დასრულებული ფილმის გაგრძელება აგვიკრძალა, – არ მომწონსო! მაშინ შემოქმედთა სექციამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ნამუშევარი ქართველი მწერლებისთვის ეჩვენებინა, რათა იმათ ეთქვათ, ღირდა თუ არა ამ ფილმის გადაღება. ერთ მშვენიერ დღეს დაუძახეს ქართველ მწერლებს და აჩვენეს **"მაგდანას ლურჯა"...**

ვდგავართ მე და თენგიზი აწურულები. ამ დროს იღება კარი და შემოდის გალაკტიონი თავისი **"პორტფელით"**. გავოგნდით, ეს კაცი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და არსადაც არ დადიოდა. სხვებიც გაოგნებული უყურებდნენ. მწერალი დემნა შენგელაია ჩემი ბიძა იყო, მეგონა, იმან უთხრა-მეთქი, მაგრამ ხელი გამიქნია, – ეგ რამდენი ხანია, არ შემხვედრიაო. გალაკტიონი დაჯდა, ბოლომდე უყურა კადრებს, მერე ადგა და უცებ... ვინც ეს ფილმი გააჩერა, მე იმისიო.... შეიგინა და წავიდა! აკაკი ბელიაშვილმა ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი მოიწმინდა, ეკრანს შეხედა და: – ამ ეკრანს ბევრი კარგი ფილმი უნახავს, მაგრამ რაც ამ ბიჭებმა გვიჩვენეს, – მსგავსი არასოდესო! მეორე დილას უკვე გამოკრული იყო ბრძანება ფილმის გაგრძელების შესახებ.

ეთერ ერაძე

რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა?

(იბეჭდება შემოკლებით)

ისტორიკოსების, არქეოლოგების და მკვლევარების ყურადღების ცენტრში სენაკის რაიონის სოფელი ეკი 1971 წელს მოექცა, როცა სოფლის ტერიტორიაზე ვერცხლის მონეტების განძი აღმოაჩინეს. 907 ცალ მონეტაში შედიოდა პართიის მეფე ორიდიოს პირველის დრაქმა და რომის იმპერატორების ნერვას, ტრაიანეს, ადრიანეს, ანტონიუს პიუსის და სხვათა სახელით მოჭრილი დრაქმები და დინარები.

როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, ეკის გვიანდელი მონეტა 222 წლით თარიღდება. რაც შეეხება თავად სამონასტრო კომპლექსს, მასში შემავალი ნაგებობები ეკლესია, სამრეკლო, პალატი, და ა.შ. გაშენებულია სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში და გარს ქვითკირის მაღალი გალავანის ფრაგმენტები აკრავს. კომპლექსის შუაში აღმართული ეკლესია მე-9-მე-10 საუკუნეებით თარიღდება.

რატომ დარჩა ეს ულამაზესი და არქიტექტორული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი სამონასტრო კომპლექსი მეცნიერების ყურადღების მიღმა, უცნობია, თუმცა მონასტრის კედლებში აღმოჩენილმა ათობით ადამიანის ჩონჩხმა შესაძლოა ვითარება სრულიად შეცვალოს.

„საერთო გაზეთს“ „ადამიანის უფლებათა დაცვის აქრივისტთა კავშირის“ კულტურული მემკვიდრეობის ახალგაზრდული განყოფილების ლიდერი **ლევან ხუბულავა** ესაუბრა:

– სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ სენაკის რაიონის სოფელ ეკში მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ხუროთმოძღვრული კომპლექსი. კომპლექსში მდებარეობს მე-9 საუკუნით დათარიღებული ტაძარი. როგორც ვიცი, საქართველოში ოთხი ანალიგიური ტაძარია. საუკუნეებმა ტაძარს და მთლიანად კომპლექსს თავისი კვალი დაატყო, თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ, ბიძინა ივანიშვილის ფონდის დახმარებით, შარშან ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია დაიწყო. ადამიანის ჩონჩხებით სავსე აკლდამა შარშან ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია დაიწყო. შიდა სამუშაობის მიმდინარეობისას, იატაკის მონაკვეთი ჩაინგრა და გამოჩნდა პატარა ოთახის ხელა სათავსო.

– სათავსო თუ საფლავი?

– არა, ეს არ გახლავთ საფლავში ჩასვენებული ადამიანების ძვლები. ეს არის დაახლოებით მეტრანახევარი სიღრმის ოთახში უწესრიგოდ დაყრილი ადამიანების ცხედრები.

– სათავსო დაათვალიერეთ?

– ქვემოთ არ ჩავსულვარ, მაგრამ ზემოდანაც ჩანს, რომ ოთახი უფრო ღრმა უნდა იყოს, მაგრამ მტვრით და მიწით არის ამოვსებული და შიგნით ეს ჩონჩხებია გაფანტული. ბიჭებმა სათავსოდან თხუთმეტი ადამიანის თავის ქალა ამოიტანეს. აქედან ერთი ბავშვს ეკუთვნოდა, ერთს კი კეფის მხარეს ნატყვიარის კვალი ეტყობოდა. დარწმუნებული ვარ, მიწის ფენების ქვეშ რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა, სადაც ათობით ადამიანის ჩონჩხია აღმოჩენილი...

– ახლა სად არის ეს თავის ქალები და გაგრძელდა თუ არა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

– დაათვალიერების შემდეგ, თავის ქალები ისევ უკან ჩავალაგეთ და ჩატეხილ იატაკს ფიცრები დავაფარეთ. ამის შემდეგ, სარესტავრაციო სამუშაოები ჩვეულებრივ გაგრძელდა. ჩვენ კი აკლდამაში აღმოჩენილის შესწავლის თხოვნით, წერილები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გავაგზავნეთ, მაგრამ რატომღაც, განსაკუთრებული ინტერესი არავის გამოუჩენია.

სხვათა შორის, 1994 წელს რამდენიმე ადამიანის მცდელობით, მოხდა ამ სამონასტრო კომპლექსის ნაწილობრივი რესტავრაცია. მაშინაც ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინეს.

თუნდაც, 1848 წლით დათარიღებული, საოცარი ქვისგან გამოთლილი წარწერიანი ჯვარი და ქვის სარკოფაგში მოთავსებული ადამიანის ძვალი. ჯვარზე წარწერა თითქმის მთლიანად გადაშლილი იყო, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ ამოვიკითხეთ **„მე მდებარე ვარ აქვე ლოცვითა მამისათა და სულისა წმინდისა“.** თითქოს ჯვარი რაღაც წერტილისკენ მიგვანიშნებდა, აქვე ვარო. ვფიქრობ, რომ მონასტერში კიდევ არის ჯერჯერობით აღმოუჩენელი სათავსოები და აუცილებელია, მათი აღმოჩენისა და შესწავლის მიზნით სამუშაოების დაწყება...

...აუცილებელია შეიქმნას სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია, ჩვენც ჩაგვრთონ და დავადგინოთ რა საიდუმლოს ინახავს ეკის სამონასტრო კომპლექსი.

აქვე აღვნიშნავ, რომ ძალიან გვიხარია, რომ რესტავრაცია მიმდინარეობს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სამონასტრო კომპლექსმა პირვანდელი სახე შეინარჩუნოს. ეს ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება ჭირდება...

– ინტერვიუს დაწყებამდე მითხარით, რომ წლების წინ, დადიანების მუზეუმიდან მოპარული ნივთი შეიძინეთ და მუზეუმს დაუბრუნეთ. რა ნივთი იყო ეს და სად შეიძინეთ?

– 1993 წელს დადიანების სასახლე გაიძარცვა. მაშინ **„წითელი ჯვრის“** საერთაშორისო ოფისი ავლაბრის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ოფისში შეხვედრაზე ვიყავი პოლიტპატიმრების საკითხთან დაკავშირებით და შეხვედრიდან რომ გამოვედი, ეროვნებით აისორი ქალი და მამაკაცი შემხვდნენ. გამაჩერეს და ოქროს ყდაში ჩასმული ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ტომეული შემომთავაზეს. ეს უნიკალური წიგნია, საზღვარზე ვერ გაგვაქვს და იაფად ვყიდითო.

წიგნი 50 დოლარად ვიყიდე და მალევე მუზეუმში გავაგზავნე. დანარჩენი ნივთები ვის ხელში მოხვდა და რა ბედი ეწია, უცნობია. სამეგრელომ გასაბჭოების შემდეგაც უამრავი აწიოკება გადაიტანა. 90-იან წლებში **„მხედრიონელთა“** თარეშს ადგილობრივი მოსახლეობა კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებს, მე-20 საუკუნის ვანდალები არც უდანაშაულო ადამიანებს ინდობდნენ და არც სამეგრელოში დავანებულ ეროვნულ საგანძურს – ისე იქცეოდნენ, თითქოს გადაკარგულში არსებული ქვეყნის საძარცვად იყვნენ მოვლენილები...

– როგორც ვიცი, საქართველოს კულტურის სამინისტროს ბოლშევიკების მიერ მიტაცებული ქონების დაბრუნებაც მოთხოვეთ.

– ჩემი წინაპრების დიდი ქონებიდან დღეს მხოლოდ ბერთემი-ნოქალაქევის ტერიტორიაზე არსებული აბანო გადარჩა. აბანოს წიაღიდან გამოდის, სამკურნალო, ცხელი წყალი. აბანო ორი განყოფილებისგან და საერთო აუზისგან შედგება.

რა თქმა უნდა, ბოლშევიკებმა ეს აბანოც წაიღეს. იქვე პიონერთა ბანაკი ააგეს და კოტეჯებიც ჩადგეს.

ავადსახსენებელი ნაციონალების ხელისუფლების დროს, ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ აბანოს ტერიტორიით ერთ-ერთი ცნობილი ნაციონალის მეუღლე იყო დაინტერესებული, მაგრამ რატომღაც დასაკუთრება ვერ მოახერხა – მანამდე გადაიხვეწნენ ქვეყნიდან, ვიდრე მის სრულად გაყვლეფას მოასწრებდნენ...

ესეც ღვთის წყალობა გახლდათ!

სულ ახლახან, სამეგრელოდან დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ აბანოს ტერიტორია უცნობმა პირებმა შემოღობეს. გამორიცხული არაა, რომ აბანოს ტერიტორიით რომელიმე უცხოელი დაინტერესდა და იქ რაღაც საეჭვო დაწესებულების გახსნას აპირებს. კულტურის სამინისტროს წერილით მივმართე და ვთხოვე, სანამ ცოცხალი ვარ, აბანოს შემოღობვის და მისაკუთრების უფლებას არავის მივცემ თქო.

არ ვიცი, ეს ამბავი როგორ დამთავრდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი გვარის დევნა და რეპრესიები დღემდე გრძელდება, რაც ძალიან სამწუხაროა. საუბრის ბოლოს ეკის სამონასტრო კომპლექსის თემას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ იმედს არ ვკარგავ, რომ ხელისუფლება ამ თემით დაინტერესდება და მონასტერში აღმოჩენილი აკლდამის საიდუმლოს ფარდას ახდის.

შესაბამისად, დაინტერესდებიან თუ არა სახელმწიფო უწყებები ეკის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი აკლდამით, გაგრძელდება თუ არა კომპლექსის ტერიტორიაზე სხვა სამუშაოები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ საპატრიარქოში მქონდა შეტანილი წერილი ბერთემის ტერიტორიაზე არსებული მონასტრების აღდგენის თხოვნით. თავის დროზე, ამ მონასტრებთან იყო სათავსოების მოძიება და ამ საქმის შესასწავლად გამოიყოფა თუ არა კომისია, დრო გვაჩვენებს. ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ გაურკვეველ ვითარებაში და სავარაუდოდ, ძალადობრივი სიკვდილით აღსრულებული ადამიანების ცხედრებს მიწას უმოკლეს დროში მიაბარებენ.

ნელი თორდია,
“საერთო გაზეთი”

პოეზიის კუთხე

ასე ვორექჷ სქანი შინითჷ

ასე ვორექჷ სქანი შინითჷ
ჯოღორცალო გჷმორძელი,
მოშქურღ, შხვაში ნოქურისჷ
ცოროფათჷ ქემარცხენი.
შხვას მუ უჩქჷ სქანი რინიში
ჰამოში გჷშაწუწელუა,
მა ქოპკითხასჷ: იზაფანგქ,
ქოთი გილეჭუჭელუა.
მარა თინათ ძამს გოსქვანსჷ,
მუჭოთჷ პიჯი ტატალერი,
მუჭოთ ტანი– ლარჭემჯგუა
დო კჷდჷრი თანთალერი.
ქორშჷ, ბრელიშა მემინჯირჷ
სქანი ენტებული სანთელიშა,
ღურელი ხოლო მისხუნუქუ,
გიჩქჷდასჷ, მა თელიშა.
მარა ხვალე ჯვეში შინითჷ
მონკა ცოფე შურიში რძღაფა,
თოლი გორგნსჷ სიშორასჷ
ჩილამურით ეშნადაფა.
ქორთხინჷქ, მუთუნი ვამომჩინა,
ირფელი ქორდასჷ მუჭოთი რენი,
ვამკო, ჭუათ ლამბირი გური
ხელახაშო მუწვოთენი.

* * *

მათ თქვანნერი თოლი ალაფრსხუ,
დო თქვანნერო მიძიცანსჷ,
გურს ონწეთჷ აშნადგჷმა
ჯვეშიში ზჷსხჷრი ინიქანცჷ.
ბორჯეფიში დჷნარსხუა
შორი ბორია მიკიგანსჷ,
სონი ლაგვანიში ინნაბუნა
მელენი შინი მოლე კვანწჷ.
გვალაში წვანშე ტყვაცი-გურგინსჷ
აში მუნაფა მოლეღანსჷ,
დო თოლიში რხუალასჷ
ქჷმაცალენს ჭიჭე ხანსჷ.
გიბჯინექჷ იშო-აშო, –
ორანი ქჷდვოჭყანუენი,
ჩქიმი ოზეს საჭუმანო
დღაში ქჷმვოჩხანუენი.
უკული მათი გინიპკინა
ვაწვაძირუქ სათოლესჷ,
ართი მისხალო ქინკვაკირუქი
საწმოხონოთ ნათოლასჷ.
თეიშახ, ქორთხი, ქჷმომთვინი,
ჩქიმ შურიში მელენი ღალა,
შხვადო სო ურსი, დჷგოსქიდუ
ჩქიმი ნაჭვი დო ალნახალა.

* * *

ცას ვორწყექჷ გოსარკილსჷ,
თუთა ჯანჷ გონჭალირი,
ჩქიმი სისერა დიო სო რე,
სახოს ვარე მონჭაფილი.
ემერი მურიცხი იჭკვაჭკუ,
თის მიკოკირ ჩქიმი ჭარა,
თიში ღურუ რე ჩქიმი ღურუშა
ღორონთიშე გჷშნაჭარა.
მოკო ჭიჭე ეიპკინე,
ქჷმუფერუენი გურსუ,
მარა დიხაში სიმონკაქჷ
გაკობლახჷ, გაკობქურსუ.
თიშენი შორშე მევოჯინექ
ჩქიმი შურიში მახინწალსჷ,
მუნაფასჷ ქუგურინჷ,
მაჭვემერო გილეწაწჷ.
გოველი დო გოგურგინი
მუნაფა, მა ვამოშქურუ,
ჩქიმ წოხოლე დემარცხებუ
ჩქიმო გჷშაჭარილი ღურუ.
დიჭვალუქ დო გიჩოლუქუ,
ეთიწკჷმა მედინუქუ,
მა კინი ჩქიმი მურიცხიწკჷმა
სადღამუშოთ გეგნიფსქუქუ.
იჭკვაჭკვი, იჭკვაჭკვი, ჩქიმი მურიცხი,
სოიშახ ართო ვორეთჷნი,
მუთუნჷ ჭყანას ვამარინე,
სოიშათ გილურთღ მორეთჷნი.

კოტე ნაჭყებია

გახარიების გვარის სათათბიროს გადაწყვეტილებით, გვარის დღედ გამოცხადდა 17 დეკემბერი, წმინდა ბარბარეს დღე. რადგან გახარიები ოდითგანვე წმინდა ბარბარეს მიიჩნევდნენ თავიანთ მფარველ წმინდანად. ამიტომაც ჰქონდათ ცალკე სალოცავი ადგილი, სადაც პატივს მიაგებდნენ წმინდა ბარბარეს, ავედრებდნენ თავიანთ ოჯახებს, თხოვდნენ შვილების სიმრავლესა და მათ ჯამრთელობას.

ჩვენი, დღევანდელი გახარიების მიერ წმინდა ბარბარეს ხატის დაწერა, მისი კურთხევა და გვარის დალოცვა პატრიარქის მიერ, ეს არის საუკუნეების წინ დაწყებული ჩვენი წინაპრების გზის გაგრძელება

მიმართვა

და მათი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემა.

ამიერიდან გახარიები შევიკრიბებით ყოველ ბარბარობას, 17 დეკემბერს, მუხურში დღის 12 საათზე. გამოვაბრძანებთ, დღევანდელი ჩვენი გვარის წარმომადგენელთა დიდი მონდომებით დაწერილ წმინდა ბარბარეს ხატს ეკლესიიდან, მოვაწყობთ მსვლელობას ჩვენი წინაპრების მიერ, საუკუნეების წინ არჩეულ ადგილამდე. მოვილოცავთ, შევთხოვთ უფალსა და წმინდა ბარბარეს ჩვენი გვარის, ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი სამშობლოს, სრულიად საქართველოს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მშვიდობასა და სიუხვეს.

გვარის სათათბიროს სახელით,

ზაურ გახარია

მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი

როგორ ჩამოყალიბდა ორფეხა ველური ცხოველი, რომელსაც გაბმული ზმეულის გარდა არაფერი შეეძლო, მეტყველ და მოაზროვნე არსებად? – ბიბლიაში ვკითხულობთ: **„თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავიდანვე ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“** (იოანე 1-1:5). ე.ი. თავდაპირველად იყო ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, და ის იყო ღმერთთან, უზენაესი შემოქმედის ფიზიკურ გამოვლინებასთან, ანუ ბუნებასთან და ის იყო ღმერთი, რადგან მან ბგერა-სიტყვამ, მეტყველებამ შექმნა ყველაფერი, რადგან ადამიანის მიერ მეტყველების დაწყების შემდეგ შეერქვა ყველაფერს თავისი სახელი. მეტყველების უნარმა ადამიანს გამოუმუშავა აზროვნების უნარი, ხოლო ვინც აზროვნებს ისაა ცოცხალი, ანუ ადამიანის გონების განათება-გასხივოსნებაა სიცოცხლე. ამიტომაა ნათქვამი: **„მასში** (სიტყვაში, კ.ფ.) **იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“.**

უზენაესმა შემოქმედმა ადამიანს, აზროვნების უნარი რომ გამოემუშავებინა, თავიდანვე დაანათლა აღქმის უნარი, შემდეგ კი თავისი ფიზიკური გამოვლინების – ბუნების **„პირით“** უკარნახა სამეტყველო ბგერები, რომლებიც ნებისმიერ სხვა ენაში წარმოადგენს მხოლოდ სიტყვების საშენ მასალას, ხოლო ერთადერთ იბერიულ ენაში გააჩინათ სრული სიტყვის მნიშვნელობაც. ამიტომ თანხმოვან ბგერებს ვუწოდებთ ბგერა-სიტყვებს, რადგან ისინი არ არსებობენ, ცალკე აღებული, ირაციონალური ბგერის თანხლების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბევრ ბგერა-სიტყვას გააჩნია რამდენიმე ომონიმი, ანუ მნიშვნელობა. ბგერა-სიტყვების წარმოშობის მექანიზმი და მნიშვნელობანი დღემდე შემონახული აქვს, ერთადერთს დედამიწაზე, იბერიულ ენას, ხოლო ნებისმიერ სხვა ენაში ბგერა ცალკე აღებული აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს და არც მისი წარმოშობის წარმოდგენაა შესაძლებელი. საოცრება ისაა, რომ იბერიული ბგერა-სიტყვების მნიშვნელობაში ასახულია ყველა ის თვისება, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია და ამ თვისებათა რაციონალურ მართვა-გამოყენებაში ადამიანის განღმრთობის პოტენცია დევს. ე.ი. ღვთით, ბუნებით ნაკარნახევი ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები აკავშირებდა ადამიანს თავის შემოქმედთან (ბუნებასთან), რომელთანაც იყო თავიდანვე ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები.

ბუნებრივია, ღმერთთან, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე შემოქმედთან მოკავშირე უძლეველი იქნება. ამიტომ ვრცელდებოდა იბერიული ცივილიზაცია, არამარტო პირინეიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე, არამედ, ალბათ, მთელი დედამიწის ზურგზე, რადგან, ცნობილია, რომ ძველ მაიას ტომებს (სამხრეთ ამერიკა) ჰქონიათ იბერიულთან იდენტური მრავალი სიტყვა (იხ. ვლ. ალფენიძე და რევაზ ერისთავი). დღეისათვის კი ქართული ენის ასპარეზი შევიწროებულია. ამასთან, როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, ის **„შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით. საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება“** (გ. ქიქოძე, **„ენა და ეროვნული ენერგია“**, ჟ-ლი **ისტორიული მემკვიდრეობა,** №8 (49) 2014, გვ. 24). ყველაფერი სრულიად კანონზომიერია. მე ის მიკვირს, ღვთიური ენის ხელისმკვრელი და უარმყოფელი ერი, საერთოდ, როგორ ვარსებობთ, თორემ ისეთი მდგომარეობა, როგორშიც დღეს ვიმყოფებით, სულაც არაა გასაკვირი.

გონიერ მკითხველს უთუოდ დაებადება კითხვა: **როგორ დაუშვა შემოქმედმა თავის მოკავშირე იბერთა ესოდენ სულიერი დაცემა?** – ღმერთს არ სჭირდებოდა რობოტი, რომელსაც საკუთარი აზროვნება არ გააჩნია და სამართავია, არამედ სჭირდებოდა არსება, რომელიც ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით დაბრძენდებოდა, დაინტერესდებოდა ღვთიური (ბუნებრივი) კანონზომიერებებით, შეიცნობდა მას და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრებით მოიპოვებდა საერთო ბედნიერებას. ამიტომ უვლენდა ღმერთი ადამიანს ახალ-ახალ განსაცდელს, რომლის დაძლევა მას შეეძლო, თუ კი ის სათანადო მონდომებას გამოიჩენდა. ადამიანიც, როცა წინააღმდეგობათა დაძლევით მიღებულ სიხარულს შეიგრძნობდა, ღმერთს მადლობას სწირავდა განსაცდელის მოვლენის გამო და სულიერად იზრდებოდა. მაგრამ იბერიული მოდგმის ქართველმა ერმა დაივიწყა ღმერთთან დამაკავშირებელი – სრული სიტყვის მნიშვნელობის მქონე ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც ღვთიური ენერგიის მომცემი იყო და მის მაგივრად გაითავისა უცხო ენათა ლექსიკა, რომლითაც ჩვენთვის სრულყოფილი აზროვნება შეუძლებელია. შესაბამისად, დაივიწყა ღვთიური ბგერა-სიტყვებისა და ძირისეული ფორმების მოკარნახე მშობლიური მიწა-წყლის მნიშვნელობა და სიყვარული, რომლის სიდიადეს როცა შეჰხაროდა, ჰყვაოდა მისი კულტურა, მაგალითი იყო სხვა რასის წარმომადგენლებისათვის და **„იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა მთელ დედამიწაზე“.** შედეგად, ღვთიური საჩუქრისადმი უგერგილო დამოკიდებულებითა და უმადურობით, **„აყვავებული კულტურის“** მქონე იბერიული ცივილიზაცია დღევანდელი მდგომარეობის პატარა საქართველომდე დამცირდა.

იმ ხანად, როგორც ბიბლიაში წერია, **„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა** (იგულისხმება მთელი მსოფლიო, კ.ფ.) **ერთ ენაზე მეტყველი“** და ეს მსოფლიო ენა იყო ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა. არ ვაზვიადებ, ამის დასტურია შემდეგი ჭეშმარიტებები: იბერიული ენა, მეტნაკლები მოცულობით, დღემდე მოიცავს მსოფლიოში გავრცელებულ ოთხივე ტიპის ენათა ენობრივ მონაცემებს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, შვიდტომეული, ტ. I, გვ. 160-172); იბერიული ენის ლექსიკა მოიცავს მილიარდ 410 მილიონ სიტყვას პოტენციურად შესაძლო ფორმებითურთ (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, **„მეგრული ენა – ერის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“,** ოცტომეული, კომპიუტერული ვერსია), მაშინ, როდესაც ინგლისური ენა მოიცავს 490 ათას სიტყვას და, როგორც რეკორდული მაჩვენებელი, შეტანილია გინესის წიგნში; კაცობრიობის პირველი დამწერლობისა და პირველი ბეჭდვითი ტექნიკის შემქმნელები იბერები ყოფილან, რასაც ადასტურებს 4.000 წლის წინანდელი ბეჭდვითი ძეგლი – **“ფესტოსის დისკო”,** რომელიც ყველაზე უძველესია დღეისათვის აღმოჩენილ უძველეს წერილობით ძეგლებს შორის, გაშიფრა ჩვენმა თანამემამულემ – გია კვაშილავამ იბერიულ ენაზე. ეს იყო ეპოქის აღმოჩენა, რომელიც მთელი მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა აღიარეს, ხოლო ქართველმა მეცნიერებმა ეს მოვლენა ტრაგიკულად აღიქვეს და, მგლოვიარეთა პოზაში, უსირცხვილოდ დუმან; ასევე, ამის დასტურია თქვენი მონამორჩილის აღმოჩენები კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი ერის ვინაობის შესახებ, რაშიც არავინ მედავება, მაგრამ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საიდუმლოდ ამიკრძალა ამ საკითხზე მოხსენებების გაკეთება და პარალელურად გააფთრებული ბრძოლა გააჩაღა იბერიულ კვალის წასაშლელად.

ამ ვერაგული მიზნის დამადასტურებელი ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ წარმოვადგენთ შემდეგს: 2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა **საქართველოს ისტორია,** ოთხტომეული, რომლის I ტომში, 264-ე გვერდზე წერია საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარის – აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მიერ, 12 წლის წინათ გარდაცვლილი მეგრული წარმოშობის ავტორის – ანდრია აფაქიძის ნაშრომში შეტანილი ფრაზა: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“,** თორემ ეროვნულ ცნობიერებაში, ასეთი სახელწოდებით, სახელმწიფო არ არსებობდაო, მაშინ, როდესაც ასეთის გაფიქრებაც კი აკად. ანდრია აფაქიძისათვის წარმოუდგენელი იყო. აღნიშნული ფრაზა ეკუთვნის – მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, რომელიც დაშნაკ-სომეხთა საქმეს აკეთებს. და, რომლის გავლენით, საპატრიარქომ, ამ ფრაზის საქართველოს ისტორიაში შეტანისათვის, მარიამ ლორთქიფანიძე წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. ამით მან სტიმული მისცა სულგაყიდულ მეცნიერს და გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან იბერიული ენის ქართული ენის დიალექტად მსოფლიო აღიარებისათვის, რომელიც, თურმე, **„ჩვ.წ. აღ-ით III საუკუნეში წარმოშობილა“,** როცა ქართი-ქართლი გარე სამყაროსათვის მე-10 საუკუნემდე უცნობია. ხოლო **იბერი** და **იბერია,** თვით სახელწოდებაა და ცნობილია ძვ.წ. აღ-ით მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდიდან. ტყუიან მ. ლორთქიფანიძე და ანანია ჯაფარიძე, როცა ამბობენ **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“**, რადგან ბერძნულ (ელინურ) ბიბლიაში [თ]**იბერის** ადგილზე მოხსენიებულია თობელი (←თობერი), ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში **ტაბარი** (←თაბარი), **ტიბარი** (←თიბარი) და **ტიბერი** (←თიბერი), რომელთა ეტიმოლოგიას ვერ ხსნის ვერცერთი ენა მსოფლიოში, მათ შორის, ქართულიც, როცა ამას ბრწყინვალედ და მარტივად ახერხებს იბერიული ენა; და კიდევ, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში გაჟღერდა ცნობა, რომ აკად-ების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის თაოსნობით მზადდება ხელმოწერების შეგროვება მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მისამართით, რომლის თანახმად, საბოლოოდ უნდა ამოიშალოს ყველა სხვა ეთნიკური და სახელმწიფოს სახელწოდებანი, გარდა ქართი-ქართლისა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა 899 წლამდე არასოდეს ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი), რაც მხოლოდდამხოლოდ დაშნაკ-სომეხთა წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ყოველგვარი წინააღმდეგობა ეხსნება ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“** მოჭორილი სიცრუის [აქამომდის (ძვ.წ.აღ. 550 წლამდე, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო... ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა ეთნარქის – ჰაოსის კუთვნილება] ცხოვრებაში რეალიზებას.

ამრიგად, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების დროიდან მოყოლებული ქართველ მოღვაწეთა სურვილი იყო ყველა იბერიული მონაპოვარი, რომელშიც ქართის ტომის წვლილიც, ქართული ენის იბერიულიდან გამოყოფამდე, უდავოდ დიდი იყო, მხოლოდ ქართის ტომის მონაპოვრად წარმოეჩინა და იბერიული კვალი საერთოდ წაეშალა, მაგრამ ეს სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა, რადგან ქართლის მესვეურნი იმ თავისებურებათა ათვისებით კი არ დაინტერესებულან, რომელთა საფუძველზე იბერები კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის შემქმნელებად და უძველესად ჩანან, არამედ ამ მიზნის რეალიზაციის შესაძლებლობა იბერიული ფესვების ამოძირკვასა და იბერთა სულის დათრგუნვა-ჩაკვლაში დაინახა. და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება.

რა მივიღეთ ამით?

– ღვთიური სული და უზენაეს შემოქმედთან კავშირი, რომელიც იბერთა ეროვნულ ენერგიას კვებავდა და იბერიულ ცივილიზაციას ავრცელებდა პირინეიდან ინდოეთამდე, ანუ, თითქმის, დედამიწის მთელი ნახევარ სფეროზე, დავიწყებას მიეცა. ეროვნული ენერგიის დასუსტების შედეგად, იბერთა მოდგმამ უარყო ღვთით ბოძებული ეროვნული თვითმყოფადობა, უარყო ეროვნული მონაპოვრები და უცხოური დააყენა უფრო მაღლა; შედეგად უკონტროლოდ იწყო უცხო ლექსიკამ შემოჭრა ეროვნულ მეტყველებაში, ხოლო ეროვნული წარმოშობის ლექსიკა, რასაც ემყარება ეროვნული ლიტერატურა და ენა, ისე გაიუცხოვა, როგორც სპარსული, ბერძნული და სხვა უცხო ენები და თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა მთლიანად უცხო ენათა ნარევი ენა გახდა, რომელიც ეროვნულ ენერგიას არაფერს ჰმატებს და ე.წ. ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგა; უკვე ორ საუკუნეზე მეტია ჩვენს ქვეყანას ეროვნული ხელისუფლება არ მართავს; მონური ბუნება გახდა ქართველი კაცის საარსებო თვისება; არაეროვნული ხელისუფლების გავლენის წყალობით წინაპართა სისხლით მორწყული მიწით, მისი წიაღით სარგებლობს ათასობით გადამთიელი, ხოლო ჩვენი საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი ნაწილი საზღვარგარეთ არის გადახვეწილი თავისი შესაძლებლობის სარეალიზაციოდ; ინტელექტის ფასის მცოდნე ქვეყნები ჩვენგან იტაცებენ უნარიან ახალგაზრდებს; ჩვენთან კი, პირიქით, ასეთებს გასაქანს არ აძლევენ და მიერეკებიან ქვეყნიდან; ფართო ასპარეზი მიეცა **„სიონის ბრძენთა ოქმებში“** აღწერილ ვერაგული გეგმის სრულ რეალიზაციას; შედეგად საგანგაშოა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა; კატასტროფულად მცირდება ეროვნული მოსახლეობა; ბრიყვ ქართველთა წყალობით ქართველებად ეწერებიან საქართველოში მცხოვრები მალმრავლებადი ერები, ჩინელებიც კი და დემოგრაფიულ ვითარებას ისეთი პირი უჩანს, რომ მოსალოდნელია, მალე ისინი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ; აშკარად თვალში საცემია საქართველოს, განსაკუთრებით, თბილისის მოსახლეობის ანთროპოლოგიური სიჭრელე; ასე, რომ ქართველი ერის საბოლოო და სრულ გადაშენებას არაფერი აბრკოლებს. აი, ეს მოგვცა იბერიული ფესვების ამოძირკვისადმი ბრძოლამ.

კიდევ რა მოგვცა ანტიიბერიულმა ქმედებებმა?

– აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვა.

კიდევ რა?

– ის, რომ მსოფლიოში არსებული 5000 ეთნიკური ჯგუფიდან 222 კულტურული ერების შემადგენლობაში არ მოიხსენიებიან კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, პირველი ცივილიზაციის შემქმნელ იბერთა მემკვიდრე – ე.წ. ქართველები, ხოლო იქ ამაყად მოიხსენიებიან კავკასიიდან ჩეჩნები, ინგუშები, სომხები, და აზერბაიჯანელები (იხ. ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი **„მსოფლიოს ხალხები“** ინგლისურ ენაზე).

რა შეიძლება კიდევ მოგვცეს იბერიული ფესვების ამოძირკვისათვის აკად. მარიამ ლორთქიფანიძის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის, პროფ. ტარიელ ფუტკარაძისა და სხვათა ჯიუტმა ბრძოლამ?

– რა და, კვდომადი ე.წ. ქართველი ერის მშობლიურ მიწებზე კბილებაკაწკაწებული ძლიერი მეზობლების პირდაპირი აგრესია, ჩვენი სამარადისოდ აყრა და გაძევება მშობლიური მიწიდან, რამეთუ მათ ბრწყინვალედ იციან, რომ ქართლს მე-9 საუკუნის ბოლომდე სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონია, მოსახლეობა ანთროპოლოგიურად ჭრელია, სალიტერატურო ენა სხვადასხვა უცხო ენათა კონგლომერატი და ქართული ენის უძველესობას მეგრული (იბერიული) ენის ვერმცოდნე ქართველი ვერ დაამტკიცებს, ხოლო საკუთარი ხალხისა და ახალგაზრდობის მოტყუებით სხვას ვერ მოვატყუებთ.

რა არის გამოსავალი?

– გამოსავალი მარტივია, მაგრამ ადვილი აღსასრულებელი ნამდვილად არ არის. თუმცა შეუძლებელიც არაა, ოღონდ კეთილი ნება იყოს ამისა.

უკონტროლოდ რომ შემოგვაქვს უცხოური სიტყვები, რომლებიც, აკაკის არ იყოს, **„გულს ტკენს და ყურს ეჩხირება“**, რატომ არ შეიძლება აღვადგინოთ იბერიული ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები საერთო სალიტერატურო ენაში, რომელთა წარმოშობას და მნიშვნელობების მიღებას გარკვეული რეალობა უდევს საფუძვლად და ბუნებისგანაა მოტივირებული? იბერიული ლექსიკით ქართული ენის გამდიდრება აუცილებელიცაა, რადგან იბერიული ენა ხსნის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ძირისძირამდე, ხოლო ვერცერთ სხვა ენაზე ვერ ხერხდება, თუნდაც, საკუთარი ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა. ამდენად, იბერიული ენაა ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი. ამიტომ აუცილებელია იბერიული ენის პროტოქართულ ენად, არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო აღიარება. ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების წარმომავლობისა და მნიშვნელობების მიღების საფუძვლების გაცნობიერება ნიჭიერ ქართველ ხალხს საოცრად დააახლოებს დედაბუნებასთან, რომელმაც ადამიანად აქცია, საკუთარი თავივით შეაყვარებს მას და აზრუნებს მის მომავალზე. ამის შემდეგ არავის ექნება საბაბი იმისა, რომ გვიმტკიცონ, **„სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ხართო“.** ვფიქრობთ, ესაა გამოსავალი!

კუკური ფიფია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პროგრამული შეუსაბამობის გამო კუკური ფიფიას ნაშრომი “მეგრული (იბერიული) ენიოს ფენომენი” იბეჭდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, მეგრული სპეციფიკური ასონიშნები (ჷ და ჶ) და ასომთავრული ნიშნები იბეჭდებოდა დამახინჯებულად, გრაფიკული მოხაზულობა იყო გაურკვეველი, ან, მათი ადგილი, საერთოდ, ღიად რჩებოდა. გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება.

რედაქცია

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ, ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ!

(რედაქტორის წინათქმა)

შემთხვევით არ შევახსენებთ მკითხველს ჩვენი კოლეგის, მეცნიერისა და პედაგოგთა თაობების აღმზრდელის, ფილოლოგიის დოქტორის, ბატონ თენგიზ (ბუჭუტა) მდივნის იმ ნაუბარს, რომელიც ჩაიწერა და გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ 8 წლის წინათ, 2007 წლის მაისის ბოლოს გამოაქვეყნა ახალგაზრდა ჟურნალისტმა ირინე გოგოსაშვილმა.

როგორც ინტერვიუერი აღნიშნავს, საუბარი იმასთან დაკავშირებით გაიმართა, რომ საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართულ ინტელიგენციას **„ჩარეცხილები“** უწოდა.

დახვეწილი გემოვნების პროფესიონალის მსჯელობა არა მარტო მოქალაქეობრივი გაბედულებით, ან თუნდაც კარგად მიგნებული გროტესკული შტრიხებით გამოირჩევა, არამედ და, რაც მთავარია, მომავლის სწორი ხედვითაც.

„ესენი წავლენ და ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავისიანებით რომ არ ჩაანაცვლონ ხელისუფლებაო.“ – გვამუნათებდა.

სამწუხაროდ, უცხოეთიდან თავსმოხვეული **„კოჰაბიტაციისა“** და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო სამართლიანობის აღდგენა და ნაცისტური რეჟიმისათვის სათანადო მსჯავრის გამოტანა საგრძნობლად დაგვიანდა და ამიტომ ქვეყანა ჯერ კიდევ არა ჰგავს ქვეყანას. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტული იარაღი – **„ჯიბის ტელევიზიები“,** რომლებიც ცდილობენ, რომ საზოგადოებაში ქაოსი და პანიკა დაამკვიდრონ, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის განსაკუთრებით საშიშია დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენს სამშობლოში შემოჭრილ ოკუპანტებს რამდენსამე წამში შეუძლიათ, გადაკეტონ დასავლეთ საქართველოსთან აღმოსავლეთი საქართველოს შემაერთებელი მაგისტრალი და ამით ქვეყნის სრული პარალიზება შეძლონ. საკუთარი ხალხისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამო სამართლებრივი დაუსჯელობით გამოწვეულმა თვითდაჯერებულობამ და ფეთქებადსაშიშმა ვითარებამ საშინლად გაათავხედა ნაციონალისტური ხროვა და უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ აპირებენ თავისი დიქტატურის ძალადობრივი გზით აღდგენას, რასაც კაციჭამია **„ცოცხოსნები“** აჯანყებას უწოდებენ, სინამდვილეში კი, ისევე, როგორც 2003 წლის 23 ნოემბერს, ნეოფაშისტური გადატრიალების ანტიკონსტიტუციური, ანტისამართლებრივი მცდელობაა.

რა გველოდება მიხეილ სააკაშვილის ხროვის გამარჯვების შემთხვევაში? გავიხსენოთ მათი ლიდერების გამონათქვამები და ყველაფერი თვალნათლივი გახდება. გიგა ბოკერია სულის ამოხდით გვემუქრება, გივი თარგამაძე – სიცოცხლის გამწარებით, ნიკა გვარამია კი უფრო შორს მიდის: **„ჯოჯოხეთად გიქცევთ სიცოცხლესო!“** – გვპირდება. დაველოდოთ ამ მუქარის აღსრულებას, თუ ბოლომდე გავისიგრძეგანოთ ყველა ის უბედურება, რაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ცხრაწლიანი დიქტატურით თავზე დაგვატეხა?

პასუხი რომ გაგვიადვილდეს, ისევ ვიმეორებთ დასაწყისშივე ნათქვამს: საზოგადოებას შემთხვევით არ შევახსენებთ 8 წლის წინათ გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რადგან ნაცისტების შესაძლო დაბრუნება თვით ამაზრზენ წინანდელთან შედარებითაც კი გაცილებით ზრდის იმის ალბათობას, რომ განმეორდება აგვისტოს 5-დღიანი ომის მსგავსი პროვოკაციები, სისხლიანი 7 ნოემბერი და 26 მაისი, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, მამა-შვილ ვაზაგაშვილების, გურამ შარაძის მსგავსი დიდი მამულიშვილების მკვლელობები, არაადამიანური შეურაცხყოფისა და წამების სამარცხვინო შემთხვევები. სამწუხაროდ სწორი ბრძანდება ჩვენი ერთ-ერთი უხნესი კოლეგა, ბატონი თენგიზ მდივანი: ჩადენილი უამრავი არაადამიანური დანაშაულიდან რაიმე სერიოზული დასკვნის გამოტანას არავინ უნდა ელოდეს იმ ნაპრეზიდენტალიდან, რომელმაც თავისი უბადრუკი 9-წლიანი დიქტატურის პერიოდში ცხვირის მოხოცვაც კი ვერ ისწავლა. ასე რომ, არჩევანი დიდი არ არის და ყველაზე მტკივნეული სადღეისო კითხვის ერთადერთი გონივრული პასუხი ცხადზე უცხადესია: ვინც ქარს თესავს, მან აუცილებლად უნდა მოიმკას ქარიშხალი!

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

– ბატონო თენგიზ! ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია კატასტროფიულიაო. რას გულისხმობთ კატასტროფაში და რა არ მოგწონთ დღევანდელ საქართველოში?

– თქვენ იცით, რომ მე ახლა ცოტა სველი ვარ და კასპის ზღვიდან ეს ეს არის ამოვყვინთე?

მოგეხსენებათ, ჩვენ ჩაგვრეცხეს!

ისიც მოგეხსენებათ, თბილისის კანალიზაცია მტკვარში რომ ჩაედინება, მტკვარი კი ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში მდინარე არაქსს უერთდება და ასე ამოვყავი თავი აზერბაიჯანში. ახლა იქიდან მოვდივარ და თუ სულის მოთქმასა და შეშრობას დამაცდით, ყველაფერს აგიხსნით. ჩემი ხნის აკაკი წერეთელი ოთხ კაცს დაჰყავდა ხელკავით. დაატარებდნენ საქართველოში და ეფერებოდნენ რაჭა-ლეჩხუმიდან მოყოლებული, თბილისით დამთავრებული. აკაკი აკაკი იყო და მას როგორ გავეტოლები? ღმერთმა დამიფაროს ამგვარი ცდუნებისაგან, მაგრამ, ხომ გითხარით, მისი ხნოვანებისა გახლავართ-მეთქი და, ბევრის თუ არა, მცირედი პატივისცემის ღირსი ხომ ვარ? იცით, სოფელში ადრე როგორ იყო? ხარებს უდელში რომ შეაბამდნენ მიწის მოსახვნელად, მოზვერი თუ ჰყავდათ, ბებერი ხარის მეწყვილედ დააყენებდნენ ხოლმე.

ხნულის გავლებისას მოზვერი სვრელს თუ არასწორად წაიღებდა, ბებერი ხარი მოიქნევდა ქედს და უდლის ტაბიკი მოზვერს აიძულებდა, სწორი მიმართულება აეღო. ასეთია ბუნება: ახალგაზრდამ უფრო ხნიერისაგან უნდა მიიღოს ცოდნა. რადა, ღღეს ნახეთ, რა ხდება? ჩემი ასაკისას კი არა, ჩემზე გაცილებით მცროსებს მოუხურეს კარი და მადლობაც კი არ უთქვამთ. შვილო, მე 48 წლის მარტო სტაჟი მაქვს. თავს არ შეგაწყენ ჩემს ბიოგრაფიაზე საუბრით, მაგრამ ერთი რამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია. სამსახურიდან ისე დამითხოვეს, არავინ შემხვედრია და არ უთქვამს, შე კაი დედმამიშვილო, ამდენი წელიწადი როგორ იმუშავეო? არც მადლობა შემოუთვლიათ. რადა, მიწვევას რომ თავი დავანებოთ, ნორმალურ სიტყვიერ გამომშვიდობებას რა ედგა წინ? ზრდილობიანი გასტუმრებისათვის იქნებ მადლობელი აქეთ დავრჩენილიყავი! მაგრამ, აპა! რადა, იმდენი კარგი გამიკეთებია, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... აი, ასეთი მოზვრების ხელშია ჩემი ქვეყანა და ღღეს ამ დალოცვილ ჩვენს მიწაზე სულ არასწორად გავლებული სვრელებია!

– სად მუშაობდით? საიდან დაგითხოვეს გაუფრთხილებლად?

– გახლდით ერთ-ერთი არაკომერციული სასწავლებლის დირექტორი. ბევრი ახალგაზრდა აღვზარდეთ და ჩვენს მაღალმთიან რაიონებსა და ქალაქებში პედაგოგებად კვალიფიციურ კადრებს ვაგზავნიდით. ადრე ამ მხრივ მდგომარეობა არც თუ სახარბიელო იყო. მასწავლებლებად, როგორც წესი, ადგილობრივი საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები მუშაობდნენ, რომლებსაც სათანადო არც ცოდნა ჰქონდათ და არც გამოცდილება. მივწერე ყველა რაიონის თავკაცს, განათლების ადგილობრივ განყოფილებებსა და საქართველოს განათლების სამინისტროს, რომ რადგან სწავლება დაუსწრებელ ფაკულტეტზე ყველგან ფასიანია, ასეთ კადრებს ჩემთან ყოველგვარი გადასახადის გარეშე მოვამზადებ-მეთქი.

ჩვენს სასწავლებელს ადრე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი ერქვა, ხოლო შემდეგ კოლეჯად გადაკეთდა. ჩვენთან სწავლების ხარისხი ისეთი იყო, პრაქტიკული მეცადინეობისას შემჩნეულ სტუდენტებს თბილისის წამყვანი სკოლები წინასწარ ითანხმებდნენ, რომ პედაგოგებად მათთან დარჩენილიყვნენ. ამის გამო განათლების სამინისტროში არაერთხელ შევკამათებივარ ქალბატონებს ტატულია მარგველაშვილს, ლიანა შეწირულსა და სხვებს, რომ რაიონებიდან ჩამოსულ და ჩვენს აღზრდილ პედაგოგებს თბილისში ნუ ტოვებთ, რადგან ეს მათ ოჯახებსაც უქმნის პრობლემებს და იმ რაიონებსაც, რომლებმაც ეს ახალგაზრდები გამოუშვეს-მეთქი. ამის მიუხედავად, არ მახსოვს გამოშვება, რომლიდანაც 30-35 პედაგოგი თბილისში არ დაეტოვებინოთ.

– მოგწონთ ამჟამინდელი რეფორმა და სწავლების ხარისხი? ასე გაბრწყინდება იბერია?

– თუ ქვეყანას თავისი ექიმის, მასწავლებლის მოვლა, პატივისცემა და შენახვა არ შეუძლია, ის ქვეყანა არაა. ადრე მასწავლებელი საჭმელს თუ ჭამდა, თუ იძინებდა და, საერთოდ, მიწიერი მოკვდავი თუ იყო, ბევრს არ ეგონა. რიდი და უდიდესი პატივისცემა ჰქონდათ უმცროსებს უფროსებისადმი, შვილს მშობლებისადმი და, საერთოდ, ტრადიციული ქართული მენტალიტეტი იყო დამკვიდრებული მთელ ქვეყანაში. ამდენი უზნეობის, სულში ჩაფურთხების, დამსახურებული ხალხის შეურაცხყოფის, უვიცობის და ზიზღის პირობებში, თქვენ როგორ ფიქრობთ, გაბრწყინდება იბერია? გაბრწყინდება კი არა, თუ ასე გაგრძელდა, დიდი ხნით დაბნელდება. განა შეიძლება, პირზე ხსენშეუშრობლებს ასეთი ენით ელაპარაკებოდეს პრეზიდენტი? რა ლექსიკაა, რა აღზრდაა, რა საქციელია ეს? მაინცდამაინც თუ კანალიზაციებსა და ფეკალიებზე სურდა ლაპარაკი, იქ არ ჰყავდა გვერდით სანტექნიკოსი განათლების მინისტრი ლომაია? განა ის უფრო ავტორიტეტული და კვალიფიციური არ გახლავთ საკანალიზაციო საქმეებში? ანდა მრჩევლებს ჰკითხოს, რაზე ლაპარაკი შეიძლება მოზარდებთან და თუნდაც ზრდასრულებთან? შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ ვღიზიანდები, როდესაც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ცხვირს მაჯით იწმენდს და ჩაჩაჩული წინდებით ფეხი ფეხზე აქვს გადადებული სხვა პრეზიდენტებთან ერთად ფოტო და ვიდეოკამერების წინ და პოზიორობს. მორბენალი სტრიქონი ხომ მაღიზიანებს ტელეეკრანზე, ამ მორბენალმა ტრიბუნამ სულ გადამრია კაცი... გადასარევი უფროსი მყავდა (ადრე, როცა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში ვმუშაობდი), გენიოსი იყო – დამიანე გოგოხია. მეტყოდა ხოლმე: იმდენი ცოდვა გვადევს, შვილო, ჩვენ – კომუნისტებს, ვერანაირი საპონი და წყალი ვერ გაგვაცლის იმ სისხლს, ჩვენს ხელებზე რომ არისო. რომ შევეკამათებოდი: რას ბრძანებთ, ბატონო დამიანე ვლადიმეროვიჩ (იმ დროს ცეკას პროპაგანდის განყოფილების უფროსიც იყო), თქვენ და სისხლი-მეთქი?

– შვილოო, – მეტყოდა, – თუ სადმე ბაგრატიონი, დადიანი, ამილახვარი და კიდევ ბევრი ჯიშიანი ქართველი იყო, სულ ამოვხოცეთ და დარჩენილები უცხოეთში გავაქციეთ. დგას ახლა და ქათმისა და ინდაურის ჯიშს ეძებს ვიღაც ნატროშვილი (ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი), ცხვრის ჯიშს ეძებს, ვიღაც მამაძაღლიშვილი – კატისა და ძაღლის კარგ ჯიშებს და, იცი, როგორ არისო, ბუჭუტა, ჩვენი საქმე? ჯიშიანი აღარავინ დაგვრჩა საქართველოშიო. სულ ჩვენ ამოვხოცეთო. ღღეს რომ ქართველი იმ დიდი ჯიშის მემკვიდრეა, ეტყობა რაიმე?

ბებიაჩემი მევედრებოდა ხოლმე, უჯიშო ქალი სახლში არ მოიყვანოო.

– როგორ უნდა გავიგო, ბებია, ჯიშიანობა-მეთქი?

– რა მითხრა, იცი?

– პირსახოცს რომ მიაწოდებ, თუ პირველად პირი შეიწმინდა, უჯიშოა, იცოდეო. პირველად ხელები უნდა გაიმშრალოს, რომ წყალი იდაყვებზე არ ჩამოუვიდესო. ჯიშიანმა ეს იცის და შენც იცოდეო.

არ შეიძლება იმნაირი მინისტრი და პარლამენტარი გყავდეს, აიღოს ლანგარიდან თევზი, იქვე წამოაცვას ჩანგალზე და ისე გადმოიღოს. მე ამ ყველაფრის მომსწრე ვარ და ბევრს ნუ მალაპარაკებთ, თორემ უარესიც შეიძლება წამომცდეს!

შეიძლება, არც თუ უცნობი ისტორიკოსის შვილმა არ იცოდეს, რომ საქართველოს ოსი მეფეები არ ჰყოლია? წარმომიდგენია, საწყალი გიული თავის მხოლოდშობილს როგორი დარცხვენით უსმენს ტელევიზიის ყურებისას. არადა, არც ყველაზე გამორჩეული რეპეტიტორები და არც უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლები არ დააკლო... უცხოეთია ის კიევის უნივერსიტეტიც, აბა, როგორ?

ახლა ჩვენ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ავიღოთ!

სახუბუოა განა კორიფეების დაარსებული და ჯანმრთელობის (ხშირად სიცოცხლის) ფასად შენარჩუნებული ცოდნის თეთრი ტაძარი?

სახუბუოდ რომ არ უნდა ექცეს საქართველოს ეს ტაძარი, საქართველოს პრეზიდენტმაც უნდა იცოდეს, განათლების სანტექნიკოსმა მინისტრმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც.

ეს ერთმნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაა!

სიტყვამ მოიტანა და ერთ-ერთი პარლამენტარის ბაბუა ბაბუაჩემთან მუშაობდა.

– ამჟამინდელი პარლამენტარისა?

– დიახ, დიახ!

ბაბუაჩემს ეზოში ჭა ჰქონდა. ჭის გვერდით გუბე იყო, გუბეში კი – ბაყაყები და ქეიფობის დროს მათი ყიყინი სიმღერაში უშლიდათ ხელს. ჰოდა, ამ პარლამენტარის ბაბუას, როცა ბაბუაჩემი ქეიფობდა, მუჭში კენჭები ჰქონდა და ბაყაყებს ასე ადუმებდა.

– ტყუპ! – ჩააგდებდა და ქეიფი გრძელდებოდა.

ბაბუამისს რაც ევალებოდა, ეს პარლამენტარიც იმას აკეთებს: პრეზიდენტი ქეიფობს, ის კი აყიყინებულ ოპოზიციას პარლამენტში მთელი გულმოდგინებით აჩუმებს. გვარის დასახელებას ნუ დამაძალებთ. მაინც არ გეტყვით, მით უფრო, რომ არც არის საჭირო, გაზეთს რომ წაიკითხავს, თავად შეგეხმიანებათ!

– რატომ? ჩვენც ვყიყინებთ?

– აბა, როგორ? თვეში ოთხი ლარი თქვენი გაზეთისთვისაა, რამდენიმეჯერ ოთხი, სხვა გაზეთებისათვის. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ჩემი პენსია თქვენ მიგაქვთ. არადა, ახლა სოფელში უნდა წავიდე, ჭაზე მრიცხველს აყენებენ და თვალი უნდა მივადევნო, არაფერი გამიფუჭონ! თან სოფლის დანგრეული გზები, აფეთქებული ხეხილი და და ბებერი ხარები უნდა მოვინახულო. ცოტას წავინადირებ კიდეც!

– ნადირობაზე ბოდიში! ტყისა და ველის „დირექტორები“ აღარ შეგიშვებენ. ჩვენი ბუნებრივი მცველები და სიამაყე გაყიდულია!

– იფ, შემიშვებენ კი არა, დამპატიჟებენ: მოდი, ერთი ხოხობი ჩამოაგდეო! რას მიქვიან, გაყიდეს? ან მე, ან სხვას ჰკითხეს, უნდა გავყიდოთო? ნუნისის გაყიდვა იქნებოდა, ისიც ჩუმად, ვინმესთან შეუთანხმებლად? განა არ იცის ჩვენმა ზოგიერთმა მეცნიერმა, რომ იქ პლანეტის ცენტრია და მისი მიწა ბევრ საიდუმლოს ინახავს?

– სიხარბით თუ ამ ქვეყნის დაქცევის მიზნით აკეთებენ ამ ყველაფერს? იქნებ ჩვენ მართლა ვერ ვუვლით ჩვენს მიწაწყალს და უცხოელები ჩვენს შთამომავლობას ყველა სიმდიდრეს უკეთ შეუნახავენ?

– სიხარბითაც აკეთებენ, შვილო, და ფულის უზომო მომხვეჭელობის დაუოკებელი ჟინითაც. თუ ფული უკვე აიღეს, კიდევ **„კარგი“**, იმიტომ, რომ ბევრ შემთხვევაში გაგვიჩუქებია ხოლმე. თქვენთან წავიკითხე პიეტრო ქუჩუკიანის მიერ იტალიაში **„დიდ სომხეთზე“** გამოცემული ნაცოდვილარის შესახებ. ჩვენივე ბრალია, ასეთი **„ისტორიული“** პასკვილები რომ იწერება. მე იმ დროის მომსწრე ვარ, როცა ვაზგენ პირველმა ეჩმიაძინში ვერმიშევი დაწყევლა ასეთი სიტყვებით: იმ დროს, როდესაც მე საქართველოს ყოველ მტკაველ მიწას ოქროთი ვყიდულობ, ერის უმგვანმა შვილმა, სომეხმა ვერმიშევმა დაწერა წიგნი **„ამირსპასალარი“**. ამ მიძინებულების გამოღვიძება იქნებოდა ამ წიგნითო? იმ დროს უკვე დაისტამბა აკაკი ბაქრაძის წერილი **„ცისკარში“**, მთელი საქართველოს მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ფეხზე დადგნენ. კრიტიკული სტატიები გამოქვეყნდა **„მნათობსა“** და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ცეკას იმდროინდელმა მთავარმა იდეოლოგმა დაიბარა რედაქტორები და ათასობით ეგზემპლარის განადგურების განკარგულება გასცა. ვაჟა-ფშაველას **„ჰაოსი და ქართლოსიც“** ამ ვაი-იდეოლოგსა და სხვასაც ბევრს ჰქონდა წაკითხული, მაგრამ მისი უზარმაზარი ტირაჟიც გაანადგურეს. დიდი ილია ხომ ამბობდა: **“სულ ძილი ძილიო!“** ასეთი დაძინებულები **„მოვწონვართ“** ახლო მეზობლებსაც და შორეულებსაც.

– აკი ხალხმა ნელნელა დაიწყოო გამოფხიზლება?!

– არა, გენაცვალე, ამას გამოღვიძება კი არა, ძილში გვერდის შეცვლა ჰქვია. უმრავლესობა ფიქრობს, სხვები გავიდნენ გარეთ, მე არაფერი მესაქმება ქუჩაშიო. ტალიკ-ტალიკ გოგო-ბიჭებს რომ ხოცავენ დღისით, მზისით, ბევრისთვის არ არის პირადული საუბარი და ძილისგან გამოსვლის საბაბი? ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ როცა საკუთარს მოუსვენებენ შინ, მაშინ გვიან იქნება თითზე კბენანი. მამაზეციერს ვთხოვ, იმ დღეს მომასწროს, ასეთ დღეში ჩვენი ჩამგდებები მანახა **„მატროსოვში“.** ეს ჩემთვის კი არა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების გამო! რა დააშავეს ბავშვებმა ჩვენს ქვეყანაში, ასეთ ყოფაში რომ არიან?!

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

ღირებული ეთნოგრაფიული ნაშრომი სამეგრელოზე

(დავით შავიანიძე, „სამეგრელო“ (ქუთ., 2015.))

საკითხის კვლევის თვალსაზრისით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე, გალის რაიონის სოფელ ხოლვში, მდინარე ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე მაღლობს წკელკარს ეძახიან. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლით, კერძოდ, X საუკუნით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ნუსხური წარწერები შეისწავლეს თ. ბარნაველმა და ლ. შერვაშიძემ. ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას აზრით, „წკელკარის“ გრამატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური (მოტივირების თვალსაზრისით) გააზრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს სახელწოდება მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემას მივაკუთვნოთ. მკვლევარი იმოწმებს სამურზაყანოელთა განმარტებას იმის შესახებ, რომ წკელის, იგივე მანცხვარწკელის თუ მიქელგაბრიელის ხატი ესვენა ერისწყლის მარცხენა მხარეს, მაღლობზე მდგარი წყავის ხისძირას. ხესთან სალოცავად მისული ავადმყოფები ღმერთს განკურნებას შესთხოვდნენ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004: 30). სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმ **„წკელკარის“** ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა შენიშნავენ, რომ სახელწოდება მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – კარის დართვით. მათ ტოპონიმი წკელკარი გაიაზრეს, როგორც **„წკელის სამყოფი ადგილის წინ ან ირგვლივ მდებარე ტერიტორია“** (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003: 208).

ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ეკლესიის სახელწოდება უკავშირდება ოდესღაც ამ ადგილას სალოცავ ხედ მიჩნეული წყავის არსებობას. წყელი, წყი(ი), წყოუ მეგრულში აღნიშნავს წყავს. წყეფშქერიც იგივეა, რაც წყავი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია წკელი სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ესაა **„მეოხი; ხელის შემწყობი“.** ა. ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში“** მანცხვარ-წკნელი უფლის ეპითეტადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც **„მეოხ-მაცხოვარი“, ხოლო წკელ-მანცხვარი, როგორც „მეოხი და მაცხოვნებელი“** (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 389, 698).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წკელკარი ეკლესიის სახელია, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ხატის სახელწოდებად მისი გააზრება. მაშასადამე, წკელკარი, ჩვენი აზრით, **„მეოხისკარია“,** სადაც წკელი წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია, ისევე, როგორც ხანგარამი **„ლახვროსანი“**, ჯეგე/ჯგეგე **„წმინდა, წმინდანი“**, და ზოგადად, შესაძლებელია, მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმიდა გიორგის. წკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული (მსჯელობისათვის ერცლად იხ. ი. კეკელია, **„წკელკარის“** ეტიმოლოგიისთვის. კრ. **„ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“,** XVI, 2014: 238-242).

დავით შავიანიძის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ენგურკოდორის შუამდინარეთის აფხაზთაგან რბევა-აოხრების შემდეგ, XVII-XVIII სს-ში წკელკარის ხატი ხიფათს გამოარიდეს და მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, თანამედროვე წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე მიუჩინეს ბინა, სადაც სანწკელო **„ხვამაც“** გააგრძელეს კიდეც.

მერვე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია **„ქრისტიანული, სინკრეტიზებული დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები“.** დამოწმებულია ბარბარობა/ბარბალობის, შობა-ახალი წლის, დიდი ოხვამერის, ნათლისღების, თედორობის, ელიაობის, თანაფას **„აღდგომის“** რიტუალების ამსახველი ახალი ეთნოლოგიური მასალა. ავტორი აღდგომის შესატყვისად მიუთითებს **„თანაფას“,** მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ შობას სამეგრელოში ქი(რ)სეს, ახალ წელს – კალანდას, ნათლისღებას – წაკურთხიას, თედორობას – თერდობას/თორდობას, ელიაობას – ეიობას რომ ეძახიან...

სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულში კვირის დღეთა სახელებს შორის დ. შავიანიძე **„შაბათის“** მეგრულ შესატყვისად ასახელებს საბატონი ფორმას. სასურველი იყო შაბათის შესატყვის პარალელურ ფორმად ბერძნულიდან ნასესხებ საბატონი (ბერძნ. **“საბბატონ“,** ძვ. ებრ. **„შაბბატ“,** ლათ. **„საბბატუმ“,** გერმ. **„საბბატ-შაბბეს“,** რუს. **„სუببوتا“**) ფორმასთან ერთად ავტორს მიეთითებინა შურიშხა/შურიშ დღა, რაც **„სულის დღეს, მიცვალებულთა სულის ხსენების დღეს“** ნიშნავს. მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემის ამ ერთი წევრის შესახებ მსჯელობა მოცემულია გ. ელიავას რამდენიმე პუბლიკაციაში (გ. ელიავა, 1989: 76, 120, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

სარეცენზიო წერილში წიგნის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე, რასაკვირველია, ყურადღებას ვერ გავამახვილებთ. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ მეცხრე თავში შესწავლილია ქორწინება, ქორწილი და საქორწილო წეს-ჩვეულებები (გვ. 153-164). მეათე თავში მოცემულია მსჯელობა მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის სამეგრელოსათვის დამახასიათებელ მთელ რიგ თავისებურებებზე (იქვე: 165-178).

მეთერთმეტე თავი ეხება ნათესაობის სისტემის შესწავლას. შეძენილი ძმებისა და ბიძაშვილებისაგან მესამე-მეოთხე თაობამდე შემდგარი გაერთიანების აღმნიშვნელ ტერმინად დ. შავიანიძე იმოწმებს საძმო-საბიძაშვილოს. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ამ შემთხვევაშიც მისი მეგრული შესატყვისი – საჯიმალო-საბიძისქუალო ყოფილიყო მითითებული (იქვე: 180). საჯიმალო მონათესავე პატარა ოჯახების ერთობლიობაა. ეს ოჯახები საჯიმალო ხვამას **„საძმო ლოცვას“** ერთობლივად აღავლენდა. ასევე ზედსიძედ შემოსული მეგრულში აღინიშნება გესინჯებული, ხოლო სიძე – სინდა/სინჯა სიტყვებით (იქვე). სამეგრელოში სისხლით ნათესავის ტოლ ნათესავად ჰყავთ მოაზრებული ძუძუმტე, მისი შთამომავლობა და წმინდა ნათლისღების წესით შეძენილი ნათლია. ამ უკანასკნელს ასახავს სიტყვა **„მორდია“,** მაგრამ დ. შავიანიძე ამის შესახებაც არაფერს ამბობს. სამეგრელოში იცოდნენ შეფიცული ძმობის დაცვაც. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს სოფ. ბანძაში ორი გვარის – კეკელიებისა და გაბუნიების ძმობისა და მათ შორის ქორწინების აკრძალვის შესახებ გავრცელებულ გადმოცემას (იქვე: 182-183). ჯიმაჩაფილობის **„ძმადნაფიცობის“** ინსტიტუტი სამეგრელოში სპეციალურად შეისწავლა გ. ელიავამ.

წიგნის მეთორმეტე თავი კვების ხალხურ სისტემას ეხება. სამეგრელოს მკვიდრთა კვების სისტემა, დ. შავიანიძის დაკვირვებით, ტრადიციულ კულტურულ-სამეურნეო ტიპზეა დაფუძნებული. გავრცელებულია მარცვლეულისაგან დამზადებული კერძები, ხორცი და რძის პროდუქტები. კვების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ბოსტნეულს და ბაღჩეულს. საჭმელების შესაკმაზად გამოყენებული სანელებლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კერძებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ელარჯი (ღომში მოხარშული ყველი), ღომი, საცივი ანუ ბაეე, ხარჩო, გულ-ღვიძლი და სულგუნი. სამეგრელოს ზღვისპირა რეგიონის მცხოვრებთა ძირითადი კერძი თევზია. აქვე მოცემულია კუჭმაჭის, ხარჩოს, შიგნეულის კუპატის, სულგუნის, ყველის, მჭადის, ღომის, ელარჯის, ჩემქვას, ხაჭაპურის, ჭვიშტარის, წითელი აჯიკის, ჭითა ჯიმუს **„წითელი მარილის“...** მომზადების ხალხური წესები (იქვე: 184-189).

მეცამეტე თავი ტრადიციული ხალხური მედიცინის, შელოცვა-გამოლოცვებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლას ისახავს მიზნად (იქვე: 190-201). აქვე წარმოდგენილია ხალხური მედიცინის საკითხებზე ავტორის მიერ სამეგრელოში მოპოვებული ეთნოლოგიური მასალა – შელოცვები, ამა თუ იმ დაავადების მკურნალობისათვის გამოსადეგი წამლები და წამლის დამზადების წესები. ირკვევა, რომ ხალხური მედიცინის გამოყენება სამეგრელოში თაობათა პრაქტიკულ გამოცდილებაზე იყო დამყარებული: **„სამეგრელოში გადმოცემებით შენახული და გადარჩენილი ქართული სამედიცინო-კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციულად აერთიანებს ბალახეული, შინაური წამლებით მკურნალობას – ნატუროპათიასა და მაგიურ მედიცინას“** (იქვე200).

მეთოთხმეტე თავში დ. შავიანიძე იმოწმებს ცნობიერების აბსტრაქტული განცდის – სიზმრის შესახებ მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას. საილუსტრაციოდ აქვე დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს: სიზმრად ნანახი ლეღვი სიკვდილის ნიშანია; კამეჩი ცუდის ნიშანია; თხრილზე კაცის გადასვლის სიზმარში ნახვა ცუდის ნიშანია. ვისაც ეს დაესიზმრება, სახლი ან სხვა რაღაც დაეწვება; სიზმარში წყალზე გადასვლა იმის მაუწყებელია, რომ დაკრძალვაზე მოგიწევს წასვლა; ფული თუ დაგესიზმრება, ახალ ამბავს გაიგებ; ხურდა ფული თუ დაგესიზმრა, ავად გახდები და ა. შ. (იქვე: 202-206).

სამეგრელოში ბავშვთა ხალხური აღზრდის სისტემა შესწავლილია სარეცენზიო ნაშრომის მეთხუთმეტე თავში. აქვე ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია სამეგრელოში გავრცელებული ხალხური თამაშობების აღწერილობა. ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ **„დღეს ბავშვი, საზოგადოება და სკოლა დაშორებულია ერთმანეთს, რაც ქმნის ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის მივიწყების საშიშროებას. აღარაა აქტუალური ხალხური პედაგოგიკა. ყურადღება აღარ ექცევა არაფორმალურ განათლებას, ანუ სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში აღარ იზრდებიან ბავშვები ტრადიციებით, ლეგენდა-თქმულებით, ზღაპრებით. ბავშვები აღარ თამაშობენ. ხალხური პედაგოგიკით ახსნა-სწავლება კი უფრო მეტ ინფორმაციას აძლევს მოზარდს ეთნიკური მიკუთვნებულობის, ერთობის, ყოფის შესახებ, უზრუნველყოფს მომავალი თაობის ზნეობრივ-ფიზიკურად სრულყოფას. იმის ცოდნის მიუხედავად, რომ კოგნიტური წარმოდგენების უზრუნველყოფა შეიძლება ხალხური სიბრძნით, გენეალოგიური გადმოცემებით, თქმულებებით, ოჯახი და საზოგადოება აღარ ზრუნავს ეთნიკური თვითშეგნების დონის, სოციალურ-ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის“** (იქვე“ 220).

მეთექვსმეტე თავში ავტორი წარმოგვიდგენს სამეცნიერო და სტუდენტური ექსპედიციების დროს ჩაწერილ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს – ლექსებს, საფლავის ეპიტაფიებს. ამ მასალებში ნათლად იკვეთება საზოგადოების ეთიკურ-დიდაქტიკური იდეალები, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, შრომისადმი დამოკიდებულება.

წიგნს ერთვის განმაზოგადებელი დასკვნები ქართულ და ინგლისურ ენებზე. დასკვნების სახით ავტორი მიზნად ისახავს იმ საკითხების მოკლე შინაარსის გადმოცემას, რაზეც ეთნოგრაფიული მასალა ცალკეულ თავებად და პარაგრაფებად აქვს წარმოდგენილი ნაშრომში.

ვფიქრობთ, ბატონ დავით შავიანიძეს ნაშრომზე მუშაობისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა და გამოყენებულ ლიტერატურაშიც სათანადოდ უნდა ასახულიყო სამეგრელოს შესახებ გამოქვეყნებული ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: ნ. აბაკელია, „არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში, წგნ.: სამეგრელო, კოლხეთი-ოდიში. ნაწილი I, თბ.-ზუგდ., 1999; ნ. აბესაძე, მებრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1957; გ. ელიავა, ძიებანი, ქუთ., 1994; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976; ი. მაისაია, ღომის კულტურა საქართველოში, თბ., 1987; მისივე, ფეტვის კულტურა საქართველოში, თბ., 1998; ი. მაისაია, თ. შანშიაშვილი, ნ. რუსიშვილი, კოლხეთის აგრარული კულტურა, თბ., 2005; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის (ტ. I, თბ., 1976; ტ. II, თბ., 1979; III, თბ., 1986); **„საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“** – მასალები (მემინდვრეობა), თბ., 1985; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956; მისივე, ახალწელიწადი (კალანდა) სამეგრელოში, ჟ. **„მოამბე“,** 1897, №1, განყ. II; ლ. ძიძიგური, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში.

ცხადია, ამ საინტერესო წიგნის წაკითხვისას ჩვენი ყურადღება სხვა არაერთმა მნიშვნელოვანმა საკითხმა მიიქცია, მაგრამ ყველა მათგანზე მსჯელობა, ბუნებრივია, რეცენზიის განსაზღვრული მოცულობის გამო შეუძლებელია. ვფიქრობთ, რომ ქართველი ისტორიკოსები მომავალში მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ დავით შავიანიძის გამოკვლევისადმი და შეუფასებლად არ დატოვებენ ეთნოგრაფიული სამეცნიერო ლიტერატურის ამ მეტად საგულისხმო შენაძენს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული საკითხები, რაც სპეციალისტებისათვის შეიძლება უფრო საყურადღებოც კი აღმოჩნდეს, მომავალში ცალკე და ვრცელი განხილვის საგნად იქცევა.

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

ფრთხილად, სამშობლოვ, ფრთხილად!

(გაგრძელება მე-7 გვერდიდან)

მთელ ცხოვრებაში არაფერი მომკლებია. ჩემს ოჯახს სტუმრობდნენ ხოლმე აკაკი წერეთელი, მაიაკოვსკის მამა, უჩა დადიანი, ჯიბო იაშვილი (პაოლოს მამა მამაჩემის მამიდის ქმარი იყო), კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, რეჯებ ნიჟარაძე, სიმონ ამირეჯიბი, დიდი ნიკო, კალისტრატე და რაჟდენ ჩიკვაიძეები, მოგვიანებით ირაკლი აბაშიძე, საშა ქუთათელი, გოგლა ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, ბესო ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი და სხვები, მათ შორის ჩვენთან ერთად ყველა ამ უძვირფასესი სტუმრის ერთ-ერთი მასპინძელი, ჩემი სათაყვანო ბიძაშვილი გიორგი მდივანი. ჩვენთან არც თუ იშვიათად მოდიოდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ასათიანი, მურმან ლებანიძე, ოთარ ჭილაძე, გვსტუმრობდნენ ხოლმე ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია... ტრადიციულად დიდი, დიდი ხალხი იყრიდა ხოლმე თავს ჩვენს ოჯახში.

ახლა?

ვინმეს მოფერება და საუბარი რომ მოგენატროს, იმაზე როგორ უნდა იფიქრო, მარტო ყავა რავა ვაკადროო? ასეთი ცხოვრება მოიტანეს. ამიტომ არის ხალხი ასეთ მდგომარეობაში. ბავშვებს რა აჭამოს და სკოლაში როგორ გაუშვას, დღენიადაგ ამაზე ფიქრობს.

– სკოლაში სიარულიც დიდი რისკია, შეიძლება შვილი შინ ცოცხალიც ვერ დაგიბრუნდეს (მაწყვეტინებს)...

– შვილო, გენაცვალე, შენ რომ ასაკოვანზე ეუბნები, ჩასარეცხიაო, წითელია და გველის ნაშიერიაო, ის ბავშვი, იმიტომ, რომ მტერი ჰგონიხარ, მოგკლავს, აბა, რას გიზამს? თანაც იმ ასაკშია, რომ ვერ აცნობიერებს ბოლომდე, როგორ შეიძლება შენი ქვეყნის პრეზიდენტმა ტყუილი თქვას? არადა, ყოველდღე იმგვარ **“დამაჯერებელ“** მარგალიტებს აფრქვევს, ბავშვი კი არა, უფროსი თაობაც შეჰყავს შეცდომაში... ვაი!

– სასიკეთოც ხომ ხდება რაღაც, ბატონო ბუჭუტა, მთლად ნაცრით ნუ ამოვილესავთ თვალებს.

– კარგით, ერთი, რა...

სასიკეთო ის არის, რომ აჭარაში საზოგადოებრივ საწყისებზე, ჩემი ტოლი, 80 წლის კაცი, ოთარ გაგუა, აჭარის ენციკლოპედიაზე მუშაობს. წიგნზე მომუშავე ადგილობრივი ინტელიგენციის იმედიანმა დამოკიდებულებამ ოდნავ შემიცვალა დათრგუნული გუნება-განწყობა. ამგვარი ენციკლოპედიები ყველგან უნდა შექმნილიყო – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამცხეჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ასეთი ენციკლოპედიები რომ გვქონოდა, ასე არ იქნებოდა ჩვენი საქმე. მართალია, აჭარის მთავრობა ჯერჯერობით თავს იკავებს წიგნის დაფინანსებისაგან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გაუმართავენ ხელს, რამეთუ ამგვარი მასშტაბური ნაშრომების გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ ენთუზიაზმსა და საზოგადოებრივ საწყისებზე დაყრდნობით.

– აი, ხომ ხედავთ, თურმე მართლაც კეთდება რაღაც. თქვენ ის მითხარით, რუსთაველის თეატრს როგორ შეელიეთ?

– ეროსი მანჯგალაძე ამბობდა: თეატრი ჩემი ცოლია, ხოლო როლები – ჩემი შვილებიო. თეატრს ცოლობას როგორ შევკადრებდი. ისე, არც შვილების სიმრავლეს გავუნებივრებივარ მაინცდამაინც. ჰოდა, ავდექი და უნივერსიტეტში ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე... კარგია თეატრიდან რომ წამოვედი, თორემ ახლა იქ რომ ვყოფილიყავი, **„ჩარეცხვას“** არ მაკმარებდნენ, მეტ შეურაცხყოფას მომაყენებდნენ. თეატრი ყველა დროის დისიდენტური ჭერია, ამიტომაც ებრძვიან ასეთი გაშმაგებით, მაგრამ მერწმუნეთ, ვერაფერსაც ვერ უზამენ, ესენი წავლენ და ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავისიანებით არ ჩაანაცვლონ. დიდი სიბრძნე და გამჭრიახობა გვმართებს!

ფრთხილად ვიყოთ, შვილოსან, ფრთხილად, თორემ, როგორც გურულები იტყვიან, მარცხი ელანძეა!

ინტერვიუერი ირინე გოგოსაშვილი

მინაწერი: მდივანთა “სამოხიო“ როლანდ ჯალაღანიას საახლობლოსაც წარმოადგენს, რადგან მან 1982 წელს ვრცელი მონოგრაფია – “სიცოცხლე გრძელდება“ – მიუძღვნა ცნობილ საბჭოთა დრამატურგს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი მდივანს.

გელა ხუციშვილი: თურქეთს მითვისებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 23 ათასი კვადრატული კილომეტრი თავისი მოსახლეობით

“რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის შემდეგ, 1878 წლის 19 დეკემბერს სან-სტეფანოში დადებული სამშვიდობო ზავის მე-19 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტების თანახმად, გამარჯვებულმა რუსეთმა დამარცხებულ თურქეთს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, კონტრიბუციის გადახდა მოსთხოვა – 1 მილიარდ 410 მილიონი რუბლის ოდენობით, მაგრამ, რადგან თურქეთის ხაზინა ცარიელი იყო, ოსმალეთის სულთანმა რუსეთის იმპერატორს ფული ნაცვლად აჭარა, ართვინი და არტაანი გადასცა.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადებული მეგობრობის ხელშეკრულებით, რუსებმა აღნიშნული ტერიტორიები, დღევანდელი აჭარის გამოკლებით, თურქეთს უკან დაუბრუნეს.” – წერია ისტორიულ წყაროებში. თუ რუსეთი მოსკოვის ხელშეკრულების დენონსირებას მოახდენს, მაშინ საქართველოს თეორიულად უფლება აქვს, ან ტერიტორიები მოითხოვოს უკან, ან თურქეთმა ფული გადაგვიხადოს (დასაანგარიშებელია ვალუტის კურსი). ჰო, კიდევ ერთი მომენტი: თურქეთის ქემალისტურმა მთავრობამ 1921 წლის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად აღიარა არსებულ საზღვრებში, ანუ ართვინისა და არტაანის ჩათვლით,” – ასე, ნახევრად ხუმრობით გამოეხმაურა სოციალურ ქსელში ხელშეკრულების დენონსირებასთან ატეხილ აჟიოტაჟს ანალიტიკოსი სიმონ კილაძე. ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებების დეტალებზე გაზეთ **“საქართველო და მსოფლიოს”** სასაზღვრო საკითხების ექსპერტი გელა ხუციშვილი გვესაუბრა.

– ბატონო გელა, რატომ შეიქნა საჭირო 1921 წელს ყარსის ხელშეკრულების დადება?

– ყარსის ხელშეკრულება როდესაც გაფორმდა, იმაზე ფიქრის დრო არ იყო, რამდენად საჭირო იყო ეს ჩვენთვის. ხელშეკრულების დადებას წინ საინტერესო პროცესები უძღოდა. ამ თემაზე დღეს ბევრი მეცნიერი მუშაობს. და სჯა-ბაასი მათ წრეს არ სცილდება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაში სახელმწიფოებრივად აზროვნების დეფიციტია.

“ყარსის ხელშეკრულება” “მოსკოვის შეთანხმების” გამეორება და დადასტურებაა. ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ ქვეყნის სათავეშია და თურქეთის დელეგაცია საქართველოს გავლით მოსკოვში მიემგზავრება. თურქეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულია, როგორც გერმანიის მოკავშირე. რუსეთი და თურქეთი დასაყრდენს ეძებენ. ამ დროს ჩნდება ათათურქი, რუსეთი მხარდაჭერას უცხადებს მას და ბევრი რამ პოლიტიკური მხარდაჭერის მიტივით ხორციელდება.

“მოსკოვის ხელშეკრულება” ერთიერთზე იმეორებს ბრესტის ზავს.

მოლაპარაკება, რომელიც ყარსში იწყებოდა და დოკუმენტი, რომელზეც მხარეებს ხელი უნდა მოეწერათ, ქართული დიპლომატიის ისტორიაში ყარსის კონფერენციისა და ყარსის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი, მანამდე კი დელეგაციებს წინ ორკვირიანი შეხვედრები, ხანგრძლივი მსჯელობა, მწვავე დისკუსიები და ეროვნულ სირცხვილზე ხელმოწერა ელოდებათ. ეს მოხდა მოგვიანებით – 1921 წლის 13 ოქტომბრის ნაშუადღევს, ყარსის ვალის რეზიდენციაში...

ყარსის კონფერენციას წინ უსწრებდა არაერთი დრამატული მოვლენა. ყარსის ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული საიდუმლოებით მოცული ზოგიერთი ფაქტი საქართველო-თურქეთისა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობიდან, რომლებიც თავის დროზე არ გახმაურებულა და მკვლევარებისთვის ნაწილობრივ ცნობილი მხოლოდ 1990-იან წლებში გახდა, თუმცა არქივები კიდევ ინახავს ბევრ უცნობ დოკუმენტს.

საქართველო-თურქეთის (ოსმალეთის) ურთიერთობა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან; უფრო მეტიც: ხშირად ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა საქართველოს ბედს. ასე იყო XVIII საუკუნეში (იასის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1792 წ.); XIX საუკუნეში (ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1829 წ.; სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება, 1878 წ.). საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ზავი, რომლის თანახმად, რუსეთის იმპერიამ დამარცხებული ოსმალეთისგან ისტორიული ქართული ტერიტორიები (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.) მიიღო.

1878-79 წლების ომის შედეგების მიხედვით, რუსეთის იმპერიამ ბათუმი და ართვინ-არტაანი ოსმალეთისგან კონტრიბუციის სახით მიიღო, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით და მოგვიანებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, დადგენილი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი იურიდიულად უცვლელი იყო 37 წლის განმავლობაში. პირველი მსოფლიო ომის კავკასიის სამხედრო თეატრს კორექტივები შეჰქონდა სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებში: ბათუმსა და ართვინს ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918წლის ზავის შედეგად), მოგვიანებით კი, ოსმალეთის დამარცხების შემდგომ (მუდროსის 1918 წლის ზავით), ბრიტანელები დაეუფლნენ, არტაანი კი პროთურქული ელემენტებისგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე.წ. ყარსის რესპუბლიკამ ჩაიგდო ხელში. საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო: 1920 წლის ივლისში, როცა აჭარა (ბათუმის ოლქი ართვინითურთ) დავიბრუნეთ, ქვეყნის ხელისუფლების ცონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა მაქსიმუმს მიაღწია. ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა.

აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს 1920 წლის შემოდგომაზე, როცა კომუნისტურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს.

1921 წლის 16 მარტი. მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ხელი უნდა მოეწეროს რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებას. სხდომათა დარბაზში შედის თურქეთის დელეგაცია: ეკონომიკის მინისტრი იუსუფ ქემალ თენგირშენქი (მეთაური); თურქეთის ელჩი რუსეთში, გენერალი ალი ფუათ ჯებესოი; საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რიზა ნური-ბეი...

გიორგი ჩიჩერინი თურქ დიპლომატებს იწვევს მაგიდასთან, სადაც ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტი დევს. დგება მნიშვნელოვანი მომენტი: დოკუმენტს ხელს ჯერ ჩიჩერინი და სრულიად რუსეთის ცკ-ის წარმომადგენელი ჯელალ კორკმასოვი აწერენ, შემდეგ კი იუსუფ ქემალი, რიზა ნური და ალი ფუათი.

ქართველთა დაუკითხავად, თბილისიდან შორს, მოსკოვში, ხელმოწერილი რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებით გადაწყდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიებისა და საზღვრების ბედი.

მოსკოვის ხელშეკრულებითაა **“დაბადებული”** ყარსის ხელშეკრულებაც.

მოსკოვის ხელშეკრულებაში ჩადებულია: რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა კონკრეტული ხელშეკრულების დამოწმებაში. უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგ სამი რესპუბლიკა: სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ხელს აწერენ ყარსის ხელშეკრულებას. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ უბედურება იქ იწყება, სადაც გაურკვევლობაა.

თურქებმა მიიღეს **“ახალ დათქმა”**, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში თურქეთის ტერიტორიის აღდგენას ითვალისწინებდა. ეს სივრცე **“მოსკოვის ხელშეკრულებაში”** ისეა მოხსენიებული, როგორც თურქეთის ტერიტორია. ეს იყო სარფიდან აქეთ, ბათუმისკენ ტერიტორია. ყარსის ხელშეკრულებაში თურქეთი დიდსულოვნად უთმობს თავისუფლებას რუსეთს ბათუმზე.

დღეს ამბობენ, რომ ყარსის დოკუმენტის დენონსაცია მოხდებაო. ეს ფაქტი საქართველოს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა, ჩარჩო ხელშეკრულების მიღებისას. საქართველო დღემდე ვერ გაერკვია, რომელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეები ვართ – თუ პირველი რესპუბლიკის, მაშინ არანაირი კავშირი არ გვაქვს ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებებთან; თუ მეორე რესპუბლიკის, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა, საზღვრები განსაზღვრული გვქონდა.

ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია შეუძლებელია, რადგან სამი ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ეს კი გამორიცხულია, რადგან ეს აზერბაიჯანისთვის ნახიჭევანის საკითხის წამოწევას ნიშნავს და მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

– ვის აძლევს ხელს ამ ხელშეკრულების დენონსაცია – რუსეთს თუ თურქეთს?

– არავის. საქართველო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულება აქვს მიღებული, რომლის პრეამბულაშიც ლაპარაკია ყარსის ხელშეკრულებაზე. 1999 წელს, როდესაც ამ დოკუმენტის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო 10 წლის ვადით, გენერალმა ვალერი ჩხეიძემ საკმაოდ პრინციპულად დააყენა საკითხი, ტექსტიდან ამოეღოთ ფრაზა: **“მხარეები აღიარებენ ერთმანეთის მიმართ კეთილ მეზობლობას, მეგობრობას, საზღვრების ურღვევობას, ამავე დროს აღიარებენ ყველა გაფორმებულ ხელშეკრულებას, მათ შორის, ყარსისაც”.** ამ სიტყვებმა – **“მათ შორის, ყარსისაც”** – გააცოცხლა ისედაც სადავო და არც თუ სასურველი ყარსის ხელშეკრულება. საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტის განახლება უნდა მომხდარიყო ყოველ ხუთ წელიწადში, ეს დღემდე გრძელდება.

ჩვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ყარსის ხელშეკრულებით რეგულირდებოდა საზღვრების თემა და აღარ გადაისინჯებოდა, მაგრამ საქართველომ 1991 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, აქტში შეიტანა, რომ საქართველო პატივს სცემს ვენის კონვენციით დადგენილი საზღვრების ურღვევობის პრინციპს და მეზობლებთან ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წამოაყენებს.

როდესაც ოკუპაციაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთს მითვისებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 23 ათასი კვადრატული კილომეტრი თავისი მოსახლეობით.

პოტსდამის კონფერენციაზე დადგა თურქეთის საზღვრების გადასინჯვის საკითხი, მაგრამ პრინციპული პოზიცია დაიკავა ინგლისმა, 1947 წელს ამერიკის ჩარევამ კი საერთოდ დახურა ეს თემა, რადგან ამერიკას რუსეთის გაძლიერება არ სურდა.

საქართველო გამოუვალ მდგომარეობაშია. ვიღაცას შეიძლება ახარებდეს რუსეთ-თურქეთს შორის სიტუაციის დაძაბვა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ამით არ გამოსწორდება. არსებული ვითარება არჩევანის საშუალებას გვისპობს. თუ საზღვრების ამბები არ მოვაწესრიგეთ და არ გავარკვიეთ, **“ისლამური სახელმწიფოდან”** წამოსული ნაკადი თავისუფლად შემოვა საქართველოში.

აუცილებელია ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა და მასთან ერთად მოქმედება – 800-კილომეტრიან საზღვარზე, ჩრდილოეთის მხარეს, უძლიერესი მეზობელი გვყავს. აუცილებელია, ჩვენი დიპლომატია მიმართული იყოს საზღვრების დადგენაზე.

– დავუბრუნდეთ ყარსის ხელშეკრულებას. რაც დღეს მსოფლიოში ხდება, რამდენიმე წლის წინათ შეუძლებლად მიგვაჩნდა. ხომ შეიძლება, ყარსის ხელშეკრულებასაც დაემუქროს რამე?

– ვიმეორებ: ყარისის ხელშეკრულებას ვერავინ შეეხება. თურქეთმაც და რუსეთმაც ჯერ მოსკოვის ხელშეკრულება უნდა გააუქმონ, უნდა ისაუბრონ.

– და მაინც, რატომ ფიქრობთ, რომ რუსეთმა შეიძლება ეს საკითხი წამოსწიოს?

– თურქეთის ხელისუფლებაში ერდოღანის მოსვლის შედეგ, ათათურქის მიერ მიღებული **“ახალი დათქმა”**, რომელიც თურქეთის ტერიტორიის ოსმალური იმპერიის საზღვრებში დაბრუნებას გულისხმობს, იურიდიული ძალის დოკუმენტად გამოცხადდა. **“ახალი დათქმის”** თანახმად, თურქეთი აჭარას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.

ყარსის ხელშეკრულებაზე საუბარი ნაადრევია, თან ამას რუსეთი ვერც შეძლებს, რადგან ხელმომწერი არ არის.

დროა, საქართველომ ამოიღოს ხმა და დაიწყოს სერიოზული მუშაობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან. ხვალ რომ ქურთი მეამბოხეები თურქებთან შეტაკების შემდეგ ჩვენკენ დაიძრანა, თურქები არ გამოჰყვებიან? ეს კი, პირველ რიგში, საქართველოს და შემდეგ რუსეთის ინტერესებს შეუქმნის საფრთხეს.

ყარსის ხელშეკრულება არ გვიცავს, მეტიც: რაც იქ წერია, იმაზეც თურქეთს შეზღუდვები უნდა დაუწესდეს.

ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი

სად არის ჩემი კოლხური მიწები...

ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდები რუსულ საიტებს... აქტიურობენ სომხები, ქურთები, ბერძნები, ებრაელები... ვხედავ ყველა ელოდება დროს, როცა ზესახელმწიფოები მათ წინაშე გამოიტანენ სადღესასწაულო ვებერთელა ტორტს და პირზე ნერწყვმომდგარნი უკვე აქედანვე მოინიშნავენ სათავისოდ მსუყე ნაჭერს... მე კიდევ, გაოცებული ვუყურებ ამას ყველაფერს და ვერსად ვეღარ ვპოულობ ლაზონა-ტაო-კლარჯეთს... გაბრაზებულმა შევძახე რამოდენიმეგზის: უკაცრავად, მაგრამ თქვენ კოლხიდა ხომ არ დაგავიწყდათ, სად მიგაქვთ ჩემი კოლხური მიწები მეთქი... მაგრამ სულ ამაოდ, თითქოს არც გაუგონიათ ეს ჩემი ყვირილი-შეგონება... და, მეც ვხვდები მშვენივრად: ყველა სათავისოდ ირჯება და ყველას ყველაფერი გათვლილი აქვს წინასწარ... ყველა სტრატეგიულად აზროვნებს ამ ცისქვეშეთში... მხოლოდ ჩემი ერი, ჩემი კოლხი, ჩემი იბერი განიცდის ასეთი აზროვნების საბედისწერო დეფიციტს!.. და, მე არ ვიცი რა გველოდება ჩვენ მომავალში... მართალი გითხრათ დიდი შიში მაქვს, რომ ამ მდგომარეობაში მყოფნი შევძლებთ კი, წარსულში დაკარგულის დაბრუნებას... არ ვიცი, მართლა არ ვიცი... ვინძლო, რაც შემოგვრჩა ისიც არ დავკარგოთ ჩვენივე ბედოვლათობით...

ზურაბ კვარაცხელია

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი ზუგდიდელი

კარლო ქარჩავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

88 წლის ასაკში ცნობილი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვი გარდაიცვალა

თანამედროვე კინოს სამყაროს თვალსაჩინო მოღვაწე, უდიდესი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვი 88 წლის ასაკში მოსკოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სუნთქვის უკმარისობის გამო მიმდინარე წლის 21 ნოემბერს გადაიყვანეს საავადმყოფოში. რეჟისორი ლამის კომაში იმყოფებოდა, რის გამოც ექიმებს ფილტვის გახვრეტა მოუწიათ, რათა დაგროვილი სითხე ამოეტუმბათ. შედეგად პაციენტს ფილტვის უკმარისობა განუვითარდა, რომლის პარალელურად ექიმებმა გულის პრობლემებიც დააფიქსირეს. კვირეების განმავლობაში გამოცდილი ექიმები ყველაფერს აკეთებდნენ ელდარ რიაზანოვის დასახმარებლად, მაგრამ 30 ნოემბერს რეჟისორი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ეს გახლავთ მართლაც აუნაზღაურებელი დანაკარგი მსოფლიოს კინოინდუსტრიისათვის!

ელდარ რიაზანოვი 1927 წელს სამარის ოლქში დაიბადა. ბავშვობაში ჯერ მეზღვაურობაზე ოცნებობდა, შემდეგ მწერლობაზე. თუმცა, საბოლოოდ სარეჟისოროზე ჩააბარა. ასე დაიწყო სახალხო კომედიების მომავალი რეჟისორის კარიერა.

მაყურებელმა რიაზანოვი ისეთი ფილმებით შეიყვარა, როგორიცაა **“კარნავალის ღამე”, “უფრთხილდით ავტომობილს”, “გარაჟი”, “სამსახურეობრივი რომანი”, “ბედის ირონია, ანუ გაამოთ”** და სხვა.

პროდუქტები, რომელთა ყიდვისას სიფრთხილე გმართებთ და მარტივი ხერხები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლის პროდუქტები უფრო ჯანსაღი, სუფთა და გემრიელია, თუმცა ალბათ ყველას გვქონია შემთხვევა, როდესაც სწორედ სოფლის ნობათის ყიდვისას აღმოგვიჩენია, რომ გამყიდველი ნებით თუ უნებლიედ უხარისხო ან ფალსიფიცირებულ პროდუქტს გვაძლევს, მომხმარებელმა კი, თუ კარგად არ ერკვევა ამ საკითხში, შეიძლება ძველი ან გაფუჭებული პროდუქტი იყიდოს. იმის გასარკვევად, სოფლის რომელი პროდუქტების ყიდვისას უნდა ვიყოთ ფრთხილად. გვესაუბრება მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარეს, **მადონა კოიძე.**

მადონა კოიძე: მომხმარებელმა უნდა იცოდეს პროდუქტის შენახვის პირობები, ანუ რა პირობებში უნდა ინახებოდეს პროდუქტები. მომხმარებელმა პროდუქტის ყიდვისას უნდა ნახოს მარკირება. მარკეტის პროდუქტი ძირითადად მარკირებულია, აქედან გამომდინარე, მომხმარებელი დაცულია, წაიკითხოს ვადები, თან ნებისმიერ პროდუქტს შესაბამისი შენახვის პირობები სჭირდება.

– ბაზარში ყიდვის დროს, სოფლის რომელ პროდუქტებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?

– ყველაზე მთავარია ხორცი და რძის პროდუქტები. მაგალითად, ქათამი ან ხორცი შეხების დროს არის წებოვანი გარსით მოცული, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი ძველია და არ უნდა ვიყიდოთ. რომელიმე პროდუქტს ცალკეულად ვერ გამოყოფ, ვინაიდან ნებისმიერ პროდუქტს თავისი სავალდებულო შენახვის პირობები აქვს, შეიძლება პროდუქტს ვადა ეწეროს, მაგრამ ვადამაც დაკარგოს არსი, თუკი პროდუქტი არასწორად არის შენახული, ის ბევრად უფრო სწრაფად ფუჭდება და ჩვენი ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება.

ასევე ყურადღებით უნდა იყოს ადამიანი თევზის ყიდვის დროსაც. არსებობს მარტივი ნიშნები, რომ გავიგოთ, ნამდვილად ახალია თუ არა თევზი. პირველ რიგში, თვალები არ უნდა ჰქონდეს ჩავარდნილი, ლაყუჩები უნდა იყოს ვარდისფერი. როდესაც თევზს კუდით დავიჭერთ, ის არ უნდა იდუნებოდეს, ანუ მკვრივი უნდა იყოს, ფხა მარტივად არ უნდა ეცლებოდეს, მომხმარებელმა ეს ელემენტარული ხერხები თუ იცის, შეუძლია, თამამად შეიძინოს პროდუქტი ბაზარში.

– როგორ უნდა მოვიქცეთ იმ პროდუქტის ყიდვის დროს, რომელსაც ასე ერთი შეხედვით ვერ გავარჩევთ კარგია თუ არა, მაგალითად ჩურჩხელა?

– ჩურჩხელა შეიძლება დამზადებული იყოს ყურძნის ბადაგით ან ტყემლის ან სხვა ხილის წვენით, მაგრამ აქ რამე რჩევის მიცემა ცოტა რთულია, ამ დროს მეც მიჭირს ხოლმე ნატურალური ჩურჩხელის განსხვავება ფალსიფიცირებულისგან.

მომხმარებელს თავად შეუძლია ნახოს, ჩურჩხელა არის თუ არა ზედმეტად გამხმარი ან გამშრალი და მკვრივი, რაც შეეხება რძის პროდუქტებს, აქ საქმე უფრო რთულადაა.

– ახლა ქალაქის ქუჩებში გარევაჭრობის ბუმია, რამდენად უსაფრთხოა ქუჩაში ნაყიდი პროდუქტი?

– როდესაც მომხმარებელი პროდუქტს ქუჩაში ყიდულობს, ეს ჩემთვისაც გაუგებარია, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ვერ გავარკვევთ რამდენად ახალი და ვარგისიანია პროდუქტი, არსებობს სხვა რისკი, ეს არის პროდუქტზე მტვრად დაფენილი მძიმე მეტალები. მანქანების გამონაბოლქვის შედეგად ეს მეტალები მტვერთან ერთად ილექება პროდუქტზე, ეს არის ზეთოვანი მასა, მისი მარტივად გარეცხვა რთულია, ამიტომ შესაძლებელია მომხმარებელმა საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა დაიზიანოს.

თეა ბეჟიტაშვილი

ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ

თბილისში, სასტუმრო **“ამბასადორის”** საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ორი წიგნისა – **“რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან”** (დოკუმენტების ილუსტრირებული კრებული, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 230-ე წლისთავს ეძღვნება) და **“უკრაინა და რუსეთი”** (ურთიერთობისა და ისტორიის ილუსტრაცია – ვითარება, რისკი, ტენდენციები).

პრეზენტაციისა და წიგნების ავტორ რუს მეცნიერებთან შეხვედრის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია **“ისტორიული მემკვიდრეობა”.** მონაწილეობდნენ ქართველი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწენი, სასულიერო პირები, პუბლიცისტები, მწერლები, ჟურნალისტები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი, სრულიად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება **“ერთობის”** ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი; აკადემიკოსი, საქართველოსა და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი ნაპოლეონ ქარქაშაძე; **“გლობალური კვლევების ცენტრის”** ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი ნანა დევდარიანი; პარტია **“ნეიტრალური საქართველოს”** თავმჯდომარე, პუბლიცისტი ვალერი კვარაცხელია; არასამთავრობო ორგანიზაცია **“ისტორიული მემკვიდრეობის”** საზოგადოებრივი საბჭოს წევრი თემურ ქორიძე, ისტორიკოსი დავით გოგიშვილი და სხვ.

პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას წარუდგენენ წიგნის **“რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან”** – ერთ-ერთი ავტორი, შემდგენელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი მიხეილ რიჟენკოვი და წიგნ **“უკრაინა და რუსეთის”** პირველი ტომის შემდგენელი და ავტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გენადი მატიშოვი.

“გეორგიევსკის ტრაქტატის 230 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობა, – განაცხადა მიხეილ რიჟენკოვმა, – **წლების წინათ რამდენიმე ცნობილმა რუსმა მეცნიერმა დაიწყო. კრებული საკმაოდ დიდი მოცულობისაა, 400 დოკუმენტიდან, რომლებიც აქ დაიბეჭდა, 287 პირველად ქვეყნდება”.**

წიგნი **“უკრაინა და რუსეთი”** მდიდრული, კარგად ილუსტრირებული გამოცემაა. ამ წიგნის ავტორ გენადი მატიშოვს ბოლო 10-15 წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული სოციალური პროცესების, ადამიანების ურთიერთობის, ქვეყნებს შორის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე. მისი თბილისში ჩამოსვლა, პრეზენტაციასთან ერთად, განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილმა ქართველოლოგთა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელზეც მიწვეული იყო.

ჯუმბერ პატიაშვილმა დოკუმენტების კრებული შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერული ფაქტი, რომელშიც შესულ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს ობიექტური ისტორიის ჩამოსაყალიბებლად. **“გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი დოკუმენტების შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდობისთვის. დარწმუნებული ვარ,** – თქვა მან, – **ისტორიის ცოდნა მათი მომავლის მყარი საფუძველია. ჯერ კიდევ შორეულ 90-იან წლებში ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე საქართველოს არ აქვს და არც ექნება პერსპექტივა.**

ცუდია, როცა ისტორიის ფალსიფიცირება ხდება. რა მოხდა აფხაზეთში, როგორ დავკარგეთ სამხრეთ ოსეთი თითქოს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ სრულ სიმართლეს არასდროს ვამბობთ. იმასაც ბოლომდე არ ვამბობთ, რაც დღეს ხდება. 2008 წლის აგვისტოს შესახებაც უმეტესად დუმილს ვამჯობინებთ.

კრებულში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს უნდა გაეცნოს ჩვენი საზოგადოებრიობა, მაგრამ, როგორც ვთქვი, ისინი ჩვენი ახალგაზრდობისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი”.

პრეზენტაციის ორგანიზატორის – ტარიელ გაგნიძის აზრით, სიტყვის თავისუფლებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა, დადებითის გარდა, უარყოფითი მხარეც აქვს. ბევრმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ხელი მოჰკიდა ისტორიის გადაკეთების, სათავისოდ მორგების საეჭვო საქმეს, მიზანში ამოიღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც, მახინჯდებოდა ფაქტები და კონიუნქტურულ ინტერესებს ესადაგებოდა.

“რა გვესმის ბოლო 20 წლის განმავლობაში? როგორ ისტორიას გვასწავლიან იძულებით? – გვეუბნებიან, რომ საბჭოთა კავშირი იყო ხალხთა საპყრობილე, მაშასადამე, ჩვენ, ქართველები, ამ საპყრობილის პატიმრები ვიყავით; რომ რუსეთის იმპერიას მისი აღზევების ზენიტში მართავდა სისხლიანი ტირანი იოსებ სტალინი, მის რეპრესიულ მანქანას კი – ცნობილი ჯალათი ლავრენტი ბერია! ისიც – ქართველი! უჩვენოდ ვერ ძლებენ! გიორგიევსკის ტრაქტატის დადება კი საქართველოს ისტორიის ლამის უდიდეს უბედურებად გამოაცხადეს. ეს მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებული ფაქტებია, თორემ ფალსიფიკაცია გაცილებით მეტი იყო, – აღნიშნა ტარიელ გაგნიძემ, – პირველი, ვინც ამხილა ეს მავნებლური ტენდენცია, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ. მან 2007 წელს რუსულ პრესაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით “საჭიროა ისტორიული სიმართლე”. ამ წერილში მან პირველმა ილაპარაკა საჯაროდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიის გაყალბებაზე, ამ სიყალბის კონკრეტულ ავტორებსა და მავნე პროცესის შედეგებზე. ამ წერილით პოლიტოლოგმა დასაბამი მისცა ფრიად საჭირბოროტო საკითხის საჯარო განხილვას და ამ თემას საზოგადოების ყურადღება მიაპყრო. ცოტა მოგვიანებით, 2009 წლის დასაწყისში, იგი იყო ინიციატორი, საქართველოში ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა უფრო ორგანიზებულად გვემუშავა ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. შედეგად შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც “ისტორიული მემკვიდრეობა” ვუწოდეთ. ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რუსეთის პრეზიდენტს მივმართეთ წერილით, რომელშიც ვატყობინებდით ჩვენი წამოწყების თაობაზე და ვთხოვდით, ანალოგიური საქმიანობა წარმართულიყო რუსეთშიც. ჩვენს მიმართვას რამდენიმე დღეში გამოეხმაურა ბატონი მედვედევი, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი.

2009 წლის 27 მარტს მივიღეთ დიმიტრი მედვედევის საპასუხო წერილი, რომელშიც იგი მიესალმა ჩვენს ინიციატივას, უწოდა მას დროული, აქტუალური და ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა და რუსმა ხალხებმა ერთობლივი წარსულით უნდა ვიამაყოთ. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა პოსტსაბჭოთა ისტორიაში, როცა რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი პირადად გამოეხმაურა (და თანაც – დადებითად) არასამთავრობო სექტორის მიმართვას”.

ძველი აქტების რუსეთის სახელმწიფო არქივის დირექტორმა და პრეზენტაციაზე გამოტანილი კრებულის თანაავტორმა მიხეილ რიჟენკოვმა გაიხსენა, როგორ აღინიშნა 30 წლის წინათ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლის იუბილე, როგორ დაიდგა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ძეგლი, ასევე, ის, რომ ამ თარიღისადმი მიძღვნილ სპეციალურ ჟურნალში, მისი, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის, პირველი სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა. საქართველოში ამ თარიღს მიეძღვნა ისტორიკოსების – გიორგი პაიჭაძისა და ვალერიან მაჭარაძის შრომები.

30 წლის შემდეგ ისტორია განმეორდა.

აკადემიკოსმა გენადი მატიშოვმა განაცხადა, რომ დღევანდელ ვითარებაში გასარკვევად საჭიროა ობიექტურად, აკვიატებული სიმპათიის ან ანტიპატიის გარეშე გავითავისოთ ისტორიული დოკუმენტები. წიგნ **“უკრაინა და რუსეთის”** პირველი ტომი ისეა დაწერილი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა გაიგოს, როგორ ვითარდებოდა უკრაინელებისა და რუსების ურთიერთობა.

პრეზენტაციაზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ წიგნების ავტორები და სტუმრები.

“საქართველო და მსოფლიო”

გაზეთ „ილორის“ რედაქციას

(გაგრძელება “ილორის” წინა ნომრიდან)

ყოველივე ზემოაღნიშნული, მხოლოდ ერთი ნაწილია ზემოხსენებული პატარა წიგნის (ანოტირებული ნაშრომის) 44-მუხლიანი **„უძირითადესი დასკვნებიდან და მონაცემებიდან“.**

ხომ გასაოცარია, და, ერთი შეხედვით, ფანტასტიკურიც?

თუმცა, უმჯობესია, მოვიტანოთ ზოგი სხვა მონაცემებიც იმავე პატარა წიგნიდან:

„200-მდე რეცენზია-შეფასება აქვთ მიღებული ავტორებს თავიანთი ნაშრომების შესახებ. ამასთან, მიღებული აქვთ გამოხმაურებანი უცხოეთის 21 ქვეყნიდან, მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან ავსტრიიდან, ნორვეგიიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, რფრ-დან კანადიდან, ლიტვიიდან...“

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „გენიალური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“, „უებრო ნაშრომი“, „უდიდესი ქართული მოვლენა“... – ასეთია ამ ნაშრომების მოკლე შეფასებები, რომელთა ავტორებიც არიან ფილოლოგიისა და მეცნიერებათა სხვა დარგების დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები: ნაპოლეონ ლემონჯავა, ტიტე მოსია, ოთარ მიქიაშვილი, ირინე ასათიანი, ლულუ აბულაძე, ჯემალ ჯინჯიხაძე, გიზო ჭელიძე ციალა მესხია, რევაზ მიშველაძე, ჯიბო ლომაშვილი, ვლადიმერ რამიშვილი, იაკობ ახუაშვილი. ვაჟა ეგრისელი, კლიმენტი შელია, გია კვაშილავა, ალესანდრე კრავეიშვილი და სხვ.)

ასეთ პირობებში, უთუოდ გასაკვირია, დუმილი ცალკეული სამეცნიერო დაწესებულებებისა და მათი მუშაკების ერთი ნაწილისა, თვით სახელისუფლებო ორგანოებისა თუ დაწესებულებებისა. მაგრამ, უმჯობესია, ამის შესახებაც მოვუხმოთ ფილოლოგიისა და სხვა დარგების ცალკეული ჭეშმარიტი მეცნიერებისა და კეთილსინდისიერი განმსჯელების გამონათქვამებს. აი, ისინიც:

„მამანტი და ცირა ძაძამიები რომ სომხები ყოფილიყვნენ, ახლა მათი ძეგლებით მსოფლიო იქნებოდა მოფენილი, ჩვენ რა გვჭირს, ქართველებს“ (ჯიბო ლომაშვილი. შვიდტომეულის პრეზენტაციაზე, 29 მაისი, 2008 წ.);

„თქვენნაირი მეცნიერები ჩვენს „კეთილ“ მეზობელ არმენებს რომ ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეაზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს გადააწვდინეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის თაობაზე“ (სოსო ხონელიძე, გაზ. **„ილორი“**, №116, 10-17 მაისი, 2011).

„ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია ექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონებოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით მოპოვებული იქნა მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათწარმომავლობაზე“... (ხვთისო (ხითოს) უთუთაური, გაზ. **„ილორი“**, №28, 19-26 ივლისი, 2011).

ამგვარი შეფასებების სრულად მოტანას მთელი ერთი გაზეთი რას ეყოფა. დავამატებთ მხოლოდ ზოგიერთებს:

„შენ, ენათმეცნიერს რომ ეძახი შენს თავს, თანაც „მამალ ენათმეცნიერს“, როგორ ამბობ კაცო, პირიდან როგორ გცდება, რომ ეს შვიდტომეული წმინდა მეგრული საქმეა და მისი შეფასებისაგან თავს შევიკავებო?! ფაქტს რას უშვრები, კაცო, ფაქტს?! ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ეს ჩემს გონებაში ვერ თავსდება. შენ შეიძლება შენი მეცნიერული დამოკიდებულება გამოხატო, ფაქტს როგორ არ აღნიშნავ, კაცო, რომ დაიბადა დიდი წიგნი და მას უსათუოდ სჭირდება გონიერი საქართველოსაგან შეფასება!. აი, ასე ხდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ თურმე დიდი აღმოჩენებისათვის ხელის დაფარების ნაცადმა პრაქტიკამ ვერაფერი ასწავლა ჩვენს ზოგიერთ მეცნიერს“ (მწერალი რ. მიშველაძე, შვიდტომეულის პრეზენტაციაზე, თბილისი, 29 მაისი, 2008 წ.);

„ვინც რაც უნდა თქვას, ეს ტომეულები ამიერიდან ზეცაში იფრენენ. ისინი საქართველოსთან ერთად იცოცხლებენ“ (აკად. სოგრატ სალუქვაძე, შვიდტომეულის პრეზენტაციაზე);

„შვიდტომეულის უდიდესი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე მისი უმაღლესი ეროვნულ-საზოგადოებრივი ღირებულება, ის შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომელსაც უკვე ვერავითარი „ღრმააზროვანი“ ეჭვები თუ კონტრვერსიები ვეღარ შეცვლიან“ ციალა მესხია – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, რეცენზიიდან: **„ფანტასტიკური და საკვირველი“**);

განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი შეფასება-მოწოდება:

„ნაშრომის ავტორთა განზრახვა მიღწეულია. შვიდტომეულს ნამდვილად შეაქვს სიცხადე მასში დასმული პრობლემის – ენის წარმოშობის საკითხის ახსნაში.

ხმამიბაძვის თეორია ენათმეცნიერებაში ახალი არ არის, მაგრამ შრომის ავტორებმა ერთ-ერთი უმდიდრესი უმწერლობო ენის – მეგრულის შესწავლის შედეგად გააკეთეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომ ამ ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი მოტივირებულია, თანაც ფონეტიკური დასაბამიდანვე, ანუ სამეტყველო ბგერების წარმოშობისთანავე.

მეგრულ ენაში ავტორთა მტკიცებით, განსაკუთრებით უხვადაა შემონახული არქაული ენობრივი ფორმები პირველყოფილი თანხმოვნური ხმაბაძვითი ფორმების სახით. ამასთან ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აშკარად ხმაბაძვითია, ან ასეთ საფუძველზე მიღებულად აშკარავდება.

ავტორთა დასკვნით, რაც ფრიად საყურადღებოა, მეგრული ენის ლექსიკის ესოდენი სიმდიდრე უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ამ და სხვა ქართველური ენების წინამავალი პირველყოფილი ენა უშორეულეს წარსულშია წარმოშობილი.

შემიძლია მოკრძალებით ვთქვა, რომ ჩვენს წინაშე დევს მეგრული ენის შესახებ სამი მეცნიერის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი შვიდტომეული. დღეს მისი მოწონებაც ადვილია და დაწუნებაც. მთავარია, მისი შეფასების მსურველს ჰქონდეს ჭეშმარიტი დაინტერესება და, რაც მთავარია, ობიექტური მიდგომა ნიჭისა და სათანადო ცოდნის მიმართ, რომელიც ჩადებულია მის შექმნაში და, რომელიც ნებისმიერ კეთილმოსურნე მკითხველს, მით უმეტეს, მეცნიერს, შრომის შემქმნელთადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობს, მათი ღვაწლის გამო. ღვაწლისა, რომელიც ნებისმიერ სოლიდურ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა.

აღნიშნული ნაშრომი სრულად ვერ შეფასდება მისი რამდენიმედღიანი გაცნობის შედეგად. შესასწავლია ყველა დასკვნა, რომელთა მიღებასაც, უნდა ვივარაუდოთ, წლები დასჭირდა.

ნაშრომი (ტ. VII, გვ. 518) შეიცავს მტკიცებებს, რომ თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 102.747.879 სიტყვას, პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, ხოლო უამათოდ, სულ მცირე 20 მილიონამდე (შესაძლოა მეტსაც) სიტყვას. ეს კოლოსალური ციფრია. თუმცა ეს ყველაფერი შემოწმებადია. დაეჭვებულ მკითხველს ამ ფაქტმა უნდა გაუჩინოს სურვილი დარწმუნდეს მის ჭეშმარიტებაში და არამცდა არამც არ განეწყოს შრომისადმი ნიჰილისტურად, ამას მეცნიერების, ჩვენი ენებისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ იმ თავისებურებათა, იმ ღირსებათა შეფასებისას, რომლებსაც ხედავენ და აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, ვინმემ სცადოს იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები, თავს იჩენენ დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერთა და მკითხველთა მიერ დანახული უნდა შეფასდეს ობიექტურად და არ იქნეს შეფასებული, როგორც მათთან დაპირისპირება, რამეთუ ყველა ენას, მითუმეტეს არასამწერლობო და, მაშასადამე, დიდი ისტორიის მქონეს, როგორიც მეგრულია, განვითარების საკუთარი გზა აქვს გავლილი და ამ გზის შესწავლა-ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პირობებზე, რომლებშიც ჩამოყალიბდა აღნიშნული ენის დღევანდელი სახე მეზობელ ენებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შედეგად“ (ოთარ მიქიაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარტი, 2008 წელი).

შეიძლებოდა წერტილი აქ დაგვესვა, მაგრამ რაკი ეს წერილი სწორედაც კონკრეტულ საკითხს ეძღვნება, ჩვენის მხრივაც, აი, რა უნდა ვთქვათ:

მამანტი და ცირა ძაძამიების დიახ ფანტასტიკური ნაშრომები მიმართ ცალკეული ოფიციალური (სახელმწიფო) სამეცნიერო დაწესებულებისა და, მათი სპეციალისტების ერთი ნაწილის მხრივ აქამდე დამკვიდრებლი დუმილის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მათ შორის არც კი არიან აკად. არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვათა დონისა და გამბედაობის ენათმეცნიერები! ეს აზრი მიჩნდება მეც კი, – რომელიც ფილოლოგი არა ვარ, – თუნდაც იმის გამო, რომ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. იზა ჩანტლაძის მიერ, ამას წინათ, ც. ძაძამიასთან გამართულ სატელეფონო გამოხატულ მოწონება-კმაყოფილებას, დღემდე არც ერთი ენათმეცნიერი არც კი გამოხმაურებია ამ ავტორების, მრავალთაგან ერთ-ერთი, – ჩვენის აზრით (და არა მარტო), ყველაზე დიდმნიშვნელოვან დასკვნას, რაც ასეა გამოხატული: **„თანამედროვე ენა წარმოადგენს თავდაპირველი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური მარცვალწარმომქნელი და იდეაგანმსაზღვრელი ნახევრადხმოვანი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას“.** ეს ხომ, – ენის წარმოშობის საფუძვლების წარმოჩენასთან ერთად, – არანაკლები გადატრიალებაა ენათმეცნიერებაში. აღნიშნულ აზრს განგვიმტკიცებს, ჯერ კიდევ როდის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოცენტის, იმ დროისათვის მეგრულ-ჭანურის უძლიერეს სპეციალისტად აღიარებული ირინე ასათიანის მიერ (მისივე დის, პროფ. ლ. ასათიანის თანდასწრებით), მამანტი ძაძამიასთვის ნათქვამი შემდეგი სიტყვები: **„ნეტავი გააცოცხლა ახლა, ჩემის ნატვრით, თუნდაც ორი-სამი თვით, აწნეტარხსენებული აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომ იცოდეთ, ბატონო მამანტი, რა ბედნიერი იქნებოდით მაშინ“,** და, მის შემდგომ-დროინდელ ოფიციალურ რეცენზიაში მოცემული შეფასებაც: **„მამანტი ძაძამიას და ცირა ძაძამიას გარჯა მართალ მეცნიერებას ემსახურება. ნუმც განელებოდეთ სიმართლის ძიების ჟინი ამ გასაოცარი ნიჭით გასხივოსნებულ ადამიანებს. ნუმც დალეოდეს მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიასთანა სიმართლის მაძიებლები დიდი საბას, დიდი ვახუშტის მიერ დანერგილ ქართულ მეციერებას!“** (მ. ძაძამიას დაბადების 75-ე წლისადმი მიძღვნილი ბ. ძაძამიას წიგნიდან: **„სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეული“).** მსგავსი შეფასებების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება.

მამანტი და ცირა ძაძამიებს არანაირი დაფასება და სამეცნიერო ტიტულები არ აკლიათ (ისინი არჩეული არიან, შესაბამისად: 10 და 5 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, და 5 და 3 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად), მაგრამ ბევრი რამ აკლიათ თავად ქვეყანა საქართველოსაგან, იმის გამო, რომ ე. წ. ოფიციალური საჯარო სამსახურების სახით აქ არსებული სამეცნიერო დაწესებულებები, – საქართველოს მეცნიერებათა საერო აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ დაწესებულებების მუშაკთა ერთი ნაწილის მიერ წარმოდგენილ რეცენზიებს, აქამდე თავს იკავებენ მ. ძაძამიასა და ც. ძაძამიას საკაცობრიო მნიშვნელობის უნიკალური საენათმეცნიერო ნაშრომების სათანადოდ შეფასებისა და აღიარებისაგან; სხვაზე რომც არაფერი ითქვას, მათი ამგვარი პოზიციის გამო, საქართველოს, ჯერ-ჯერობით მაინც, აკლია ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ ენის წარმოშობის საფუძვლების – ამ ყველაზე საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი საკითხის – ამოხსნის შედეგად მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრის საქართველოში გადმონაცვლებითა და ამიერიდან აწ და მარადის აქ დამკვიდრებით განპირობებული პატივ-დიდება, რაც პირველ რიგში უდიდესი დანაკლისია ქართული ენათმეცნიერებისათვის, მთლიანად ქართული მეცნიერებისათვის. აღნიშნული დაწესებულებების სპეციალური დუმილის მთავარი მიზეზები კი, რასაც ზოგიერთები არცა მალავენ, მდგომარეობს იმაში, რომ მ. ძაძამიასა და ც. ძაძამიას საენათმეცნიერო ნაშრომების კვლევის ძირითადი ობიექტია მეგრული ენა, და, თავად მეცნიერ-მკვლევარებიც, ტომობრივად, მეგრულენოვანი ადამიანები არიან. ეს მიზეზები, მოკლედ მაგრამ უფრო სრულად, ამ წერილის სათაურშივეა გამოხატული. სამწუხაროა ფრიად! სხვა შემთხვევაში, მამანტი და ცირა ძაძამიების, – ამ მართლაცდა სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეული ადამიანების, – მეცნიერული მემკვიდრეობის მიმართ ამგვარ დაუინტერესებლობას აღნიშნული დაწესებულებები და პირადად მათი ხელმძღვანელები (რიგითებზე რომ არაფერი ვთქვათ) არამც და არამც არ გამოიჩენდნენ; სხვა საშუალებაც რომ არ ყოფილიყო, ისინი საკუთარი ფეხით ჩავიდოდნენ მათთან და თავადვე დაინახავდნენ ყველაფერს. მაგალითად, მე, 81 წლის კაცი, ასე მოვიქცეოდი, თუნდაც, მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიასეული შემდეგი, სავსებით სწორი, შეფასებების გათვალისწინებით:

„ენათმეცნიერება, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცის ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ, განვითარების რა დონითაც უნდა ხასიათდებოდეს იგი, საყმაევილო ენათმეცნიერებად რჩება“;

„ენათმეცნიერი, რომელმაც ჯერ კიდევ არაფერი იცის ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ და არც უნდა რომ ისწავლოს, მიუხედავად მისი სამეცნიერო ტიტულებისა, იმ მყვინთავს ჰგავს, ვინც ზღვასა თუ ოკეანეში 20-30 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა, ამოვიდა და განაცხადა: მე ოკეანეთის ფსკერზე ვიყავი, კუთხე-კუნჭულ მოვიარე იგი და ყველაფერი ვიცი მის შესახებო“.

ალეკო თოდუა,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე-პრეზიდენტი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

დადის ახლა ეს ბიჭი სოხუმის ქუჩებში ქართული მაისურით. აი, რა შეუძლია ფეხბურთს...

ქართულ ფეხბურთში უამრავი პრობლემა რომაა, ეს ყველამ იცის. განსაკუთრებით გვიჭირს ბავშვთა ფეხბურთში.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ სწორედ ეს სფერო გამოაცხადა პრიორიტეტად. თუმცა ყველა წინა უფროსობის ხელში ასე იყო, ოღონდ, საქმე არ კეთდებოდა. იმედია, ახლა მაინც დაედგმება თავი პრობლემის გადაჭრას...

ჩვენ ძალიან ხშირად გვავიწყდება, რომ ქართული ფეხბურთი მხოლოდ ნაკრები ან ეროვნული ჩემპიონატი არ არის. რა ხდება ფესვებში?

შევხვდით საფეხბურთო სკოლა **"აფხაზეთის"** მწვრთნელ ემზარ ნარმანიას, რომელიც დევნილი ბავშვებით დაკომპლექტებულ გუნდს ავარჯიშებს...

– არ მინდა, ვინმეს მოვახვიო თავს ჩემი პრობლემები, მაგრამ ალბათ, არც უთქმელობა ივარგებს, – გვითხრა ბატონმა ემზარმა, რომელმაც მწვრთნელობა 2010 წლიდან დაიწყო, – 35 ბავშვს ვავარჯიშებ, აქედან 32 – დევნილია. სასწორზე ხომ 35 მოზარდის მომავალი დევს...

– თვეში რამდენია გადასახადი თქვენს სკოლაში?

– 25 ლარია თვეში. ჩემი აზრით, ეს მინიმუმია. 12 ბავშვი ამ მინიმუმსაც ვერ იხდის, მაგრამ რა ვქნათ, მათ ვერ მივატოვებთ...

– გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციფიკურ კონტინგენტთან გიწევთ მუშაობა...

– ასეა. ჩვენ ყველას დაგვინგრია ფსიქიკა აფხაზეთის ომმა. თან ცნობილი ფაქტია, რომ მშობლის ფსიქიკური ტრავმა შვილებზე გადადის... ეს ბავშვები ყოველდღიურად ეჯახებიან უამრავ ცხოვრებისეულ პრობლემას... წარმოიდგინეთ, ბევრი მათგანი ოჯახი 12-15 კვადრატულ მეტრ ფართობში ცხოვრობს...

ჩვენ ბევრს არაფერს ვითხოვთ – მხოლოდ ელემენტარულ ყურადღებას!

როგორც ვიცი, ამ ცოტა ხნის წინათ ბატონმა დავით ნარმანიამ ჰკითხა ნაძალადევის რაიონის გამგებელს, რა ხდება იმ სტადიონთან დაკავშირებით, ბავშვებს რომ შევპირდითო? გამგებელმა უპასუხა, 2016 წელს სტადიონი მზად იქნებაო... არადა, იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ჩვენთვის უნდა მოწყობილიყო სტადიონი, ხეები დარგეს. ვუთხარი კიდეც ნაძალადევის რაიონის გამგებელს ამის თაობაზე. მითხრა, აუცილებლად ამოვალ და ვნახავო.

გვიანდება, ძალიან გვიანდება...

– საერთოდ, რით არსებობთ?

– ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არც მე მაქვს. ჩვენ კიდევ ჯანდაბას, ორი მწვრთნელი ვართ – მე და ვახტანგ ჩოჩიშვილი. ჩვენი ბავშვების ოჯახები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ. ბავშვი რომ ვარჯიშიდან მოვა შეციებული და ვერ გაათბობ, ეს ნორმალურია?! ა

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. რაც შეუძლიათ, ჩვენთვის არაფერს ინანებენ – ბურთი იქნება, **"ფიშკები"** თუ სხვა...

ჩვენს ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ მგზავრობა გვიწევს საგარეჯოში, გურჯაანში, ნახიდურში, წილკანში... ამის თქმას ადრე მოვერიდებოდი, მაგრამ ახლა, ვფიქრობ, დროა. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველამ გაიგოს ერთი, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის თაობაზე...

– რა ფაქტს გულისხმობთ?

– ადრე მე კიდევ მყავდა გუნდი. ის უსახსრობის გამო დამეშალა. ახლა, ამ გუნდსაც იგივე საფრთხე რომ დაემუქრა, გადავწყვიტე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მივსულიყავი. იანვარი იყო. ზვიად სიჭინავას ნახვა თავიდანვე გამოვრიცხე – მასზე სულ მესმოდა, ცოტა მძიმე კაციაო. ვიკითხე რევაზ არველაძე. შემიყვანა კაბინეტში. აღმოჩნდა, რომ იცოდა ჩემი გუნდის თაობაზე. სულ ორი წუთი ვილაპარაკეთ და საბანკო ანგარიში თუ გაქვსო, მკითხა. ვუთხარი. მეორე დღეს მომდის **"მესიჯი"** – ამდენი და ამდენი დაირიცხა თქვენს ანგარიშზეო...

რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი იყო, არ არსებობს სამყოფი ფული. მთავარი – ჟესტი და კეთილი ნებაა. ვიცი, რომ ეს არ იყო ფეხბურთის ფედერაციის ფული. ეს იყო **"არველაძეების ფონდის"** მიერ გამოყოფილი თანხა. სანამ რეზო არველაძე ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობდა, არ მითქვამს ამის თაობაზე. მგონი, ახლა შეიძლება – რეზო უკვე კერძო პირია. მერე ქურთუკები გამოგვიყვეს გუნდისთვის. დღემდე, ყოველთვიურად ირიცხება ის თანხა ჩვენს ანგარიშზე...

მე ერთს ვიტყვი – რევაზ არველაძე და, საერთოდ, ძმები არველაძეები უფრო დიდი მოჭირნახულენი არიან დროებით დაკარგული ჩვენი მიწისა, ვიდრე ის ბიზნესმენები, რომლებიც აფხაზეთში დაიბადნენ და გაიზარდნენ, მაგრამ თითიც კი არ გაუნძრევიათ, არ დაგვხმარებიან....

– ნიჭიერი ბავშვები გყავთ?

– რამდენიმე ბავშვი გვყავს ისეთი, კარგი ფეხბურთის თამაში რომ შეუძლია, მაგრამ მთავარი ეს მაინც არაა. მთავარი ისაა, რომ ბავშვი ქუჩას სცდება, ცხოვრების ჯანმრთელ წესს მისდევს...

– როცა თქვენგან ეს ბავშვები შედარებით წელგამართულ სკოლებს მიჰყავთ, კომპენსაციას იღებთ?

– არ მიღირს არანაირ ფულად ის, რომ ჩემი ბავშვის მომავალი დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. თუ მას აქვს უკეთეს სკოლაში გადასვლის შანსი, არ ვუშლით ხელს. ჩემთვის ეს შემოსავლის წყარო ვერ იქნება. მე ჩემი კუთხის სიყვარული მამოძრავებს, თორემ ჩემი ძირითადი შემოსავალი მსაჯობიდან მიღებული თანხაა.

– ბატონო ემზარ, თქვენ აფხაზეთიდან ბრძანდებით. როგორ გგონიათ, ბევრი დააკლო აფხაზეთის დაკარგვამ ქართულ ფეხბურთს?

– ძალიან ბევრი! აფხაზეთში გაზრდილი ფეხბურთელი სულ სხვანაირი ტექნიკისა და **"ჟილკის"** პატრონი იყო. ჩვენთან უმაღლესი დონის გუნდები ჩამოდიოდნენ შეკრებაზე. მათთან თამაშში, გინდოდა თუ არა, ბევრს სწავლობდი... დააკვირდებოდით – თბილისში რაიონიდან რომ ჩამოდის მოზარდი, ის ძველებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ჟინს კარგავს. ძლიერი რეგიონების გარეშე, ვერ წარმომიდგენია ძლიერი ქართული ფეხბურთი...

– ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზეც გკითხავთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენში ბავშვთა საფეხბურთო ცენტრები შეიქმნება. ეს ხომ არ "ჩაყლაპავს" შედარებით პატარა სკოლებს?

– ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას შეეხეთ. ეს ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი. უბრალოდ, ვერ გაუძლებს სისტემა. ავიღოთ თბილისი. დღეს ის, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ერთადერთი საფეხბურთო ცენტრია საქართველოში და მგონი, ბოლომდე ვერც ის უძლებს. ცენტრალიზაცია კარგია, მაგრამ ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

– თქვენ აფხაზეთში მეგობრები დაგრჩათ. თუ ეხმიანებით მათ, დარჩა იქ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა?

– დარჩა და ჩემპიონატსაც ატარებენ. ეგაა, ძალიან სუსტი პირველობაა და ვერც იმას ვიტყვი, რომ ბევრი ვიცი იქაურ საფეხბურთო ამბებზე.

მე თქვენ მოგიყვებით ერთ სულისშემძვრელ ისტორიას, რომელიც, ვფიქრობ, დააინტერესებს თქვენს მკითხველს... ერთი აფხაზი კლასელი მყავს, ჩემი მეგობარია. რა თქმა უნდა, ომის წლების შემდეგ აღარ გვინახავს ერთმანეთი.

კომპიუტერის მეშვეობით მომძებნა. დღესაც კი აფხაზეთში ძველი თბილისის **"დინამოს"** კულტია. ის კაცი დიდი გულშემატკივარია და მთხოვა – თუ შეგიძლია, **"დინამოს"** მაისურა გამომიგზავნეო... მე ვუთხარი, არ მაქვს **"დინამოს"** მაისურა, მაგრამ მაქვს პირადად თენგიზ სულაქველიძის მიერ ნაჩუქარი მაისურა, მისი აკადემიისაა, ნომრით და ბატონი თენგიზის ხელმოწერით-მეთქი. ის მეუბნება – თუ გამომიგზავნი, მაგაზე ძვირფასი საჩუქარი არ მექნებაო. და ვაჩვენე ის მაისურა **"სკაიპით"**. კი გამოგიგზავნი, მაგრამ ჯერ ერთი, როგორ მოგაწოდო და მეორეც – აფხაზეთში რომ ივლი საქართველოს გერბიანი მაისურით, რამე პრობლემა არ შეგექმნას-მეთქი, ესეც ვუთხარი. მაგაზე ნუ ჯავრობ, აქ ისევ უყვართ და ახსოვთ თბილისის **"დინამოო"...**

მეორე დღეს ქალბატონი მოვიდა ჩემთან და იმას გავატანე მაისურა. დისშვილი ჰყავს ჩემს მეგობარს, 18 წლის ბიჭი. ჩაუტანია იმ ქალბატონს მაისურა და იმ ბიჭს ეგრევე გამოურთმევია ბიძისთვის: ეს შენ არ გარგებს, მე ჩავიცვამო.

დადის ახლა ეს ბიჭი სოხუმის ქუჩებში ქართული მაისურით. აი, რა შეუძლია ფეხბურთს...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნი "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

– უცხო ენაზე ატარებ შვილს?
– იტალიური, ინგლისური, გერმანული მოათავა, ახლა ქართულზე გადამყავს.

* * *

– მარო, მიდი, ერთი, იმღერე.
– კი მარა, რადა დროს სიმღერაა, სტუმრები უკვე შინ წასვლას აპირებენ.
– რომ, აპირებენ და აღარ მიდიან, იმიტომ იმღერე. დააჩქარებენ.

* * *

ექიმთან.
– სვამთ?
– არა
– ეწევით?
– არა.
– ქალები?
– არა!
– გახდები ავად, აბა რა იქნება, შე ჩემა!

* * *

ხანდაზმული, მდიდარი მამაკაცი მეგობარს ეკითხება:
– ერთი გოგონა შემიყვარდა... არა და, 68 წლის ვარ. როგორ გგონია, 50 წლის ვარ-მეთქი, რომ ვუთხრა, ცოლად გამომყვება?
– თუ 86-ს ეტყვი, ნამდვილად გამოგყვება, – ღიმილით პასუხობს მეგობარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიზიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge